

დაავადების ზედამხედველობის
ელექტრონული ინტეგრირებული
სისტემის

პასუხისმგებლობის გადაცემისა და
უზრუნველყოფის გეგმა

საქართველო

ვერსიები

ვერსია	გამოსვლის თარიღი	შენიშვნები
1.0	7/30/2013	B&V-ის მიერ მომზადებული საწყისი ვერსია
2.0	4/16/2015	განახლება ბჩკპ-ის მონაწილეების შენიშვნების შესაბამისად
3.0	5/27/2015	განახლება ბუზ ალენ ჰამილტონის და აშშ თდ თსშს-ის შენიშვნების შესაბამისად
4.0	6/8/2015	განახლება ბუზ ალენ ჰამილტონის და აშშ თდ თსშს-ის დამატებითი შენიშვნების შესაბამისად
5.0	6/25/2015	განახლება აშშ თდ თსშს-ს და საქართველოს მთავრობის მოლაპარაკების საფუძველზე
6.0	8/12/2015	ვადების განახლება
7.0	2/11/2015	ვადების განახლება
8.0	დასაზუსტებელი	განახლება საქართველოს სახელმწიფო უწყებების შენიშვნების შესაბამისად

შინაარსი

აკრონიმებისა და აბრევიატურების ჩამონათვალი	5
1. გამოყენების სფერო.....	6
1.1 იდენტიფიკაცია	6
1.2 სისტემის მიმოხილვა	6
1.3 დოკუმენტის მიმოხილვა.....	6
1.4 სხვა გეგმებთან ურთიერთკავშირი.....	7
2. წყაროს სახით გამოყენებული დოკუმენტები.....	7
3. პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერის რესურსები	10
3.1 ინფრასტრუქტურა	14
3.2 აპარატურული უზრუნველყოფა	15
აპარატურის განახლება.....	17
დოკუმენტაცია.....	17
3.3 პროგრამული უზრუნველყოფა.....	18
პროგრამული უზრუნველყოფის განახლება	20
დოკუმენტაცია.....	22
3.4 სხვა დოკუმენტაცია	22
3.5 პერსონალი	22
3.6 სხვა რესურსები	25
3.7 კომპონენტების ურთიერთკავშირი	25
4. რეკომენდირებული პროცედურები	25
5. ტრენინგი	26
ინსტრუქტორები (ტრენერები)	26
ტრენინგების კურსები.....	27
დზეის-ის იტ სასწავლო მასალები	27
ტექნიკური საშუალებები სწავლებისთვის.....	27
კომპიუტერზე დაფუძნებული ტრენინგი (CBT)	27
საბაზისო კომპიუტერული ტრენინგი.....	28

ტექნიკური მხარდაჭერის ტრენინგი	28
იტ სპეციალისტების სწავლება	28
6. პასუხისმგებლობის გადაცემის დაგეგმვის პროცესი	29
ა.1. ზოგადი ინფორმაცია	31
ა.2. გადაცემის პროცესის მიდგომა/ხედვა	32
ა.3. დზეის-ის მდგრადობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული რეკომენდაციები	33
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შორის თანამშრომლობა.....	33
იტ მხარდაჭერა	34
ჯანმოსთან/ სურსათის საერთაშორისო ორგანიზაციასთან/ცხოველთა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციასთან თანამშრომლობა	34
დზეის-ის ვებ-ვერსიის გამოყენებაზე გადასვლა.....	34
ჯანმრთელობის დაცვის ერთიან საინფორმაციო სისტემასთან (HMIS) ინტეგრაცია	34
მდგრადობის უზრუნველყოფის ხარჯების შეფასება.....	35
ა.4. გადაცემის ვადები და გეგმა	38
ა.5. სერტიფიკაციისა და აკრედიტაციის განახლება	44
დანართი ბ – დზეის-ის საქართველოსთვის სპეციფიური კრიტიკული მნიშვნელობის აპარატურის ჩამონათვალი.....	45
დანართი გ – იტ ტრენინგების გეგმა საქართველოში	46

აკრონიმებისა და აბრევიატურების ჩამონათვალი

აკრონიმი	განმარტება
გპი (API)	გამოყენებითი პროგრამირების ინტერფეისი
ავა (AVR)	ანალიზი, ვიზუალიზაცია, ანგარიშგება
ბ&ვ (B&V)	კორპორაცია „ბლექ & ვიჩ სფემლ ფროჯექტს კორპ“
ბჩეპ (CBEP)	ბიოლოგიური ჩართულობის ერთობლივი პროგრამა (იგივე ბიოლოგიური საფრთხის შემცირების პროგრამა)
დკც (CDC)	დაავადების კონტროლისა და პრევენციის ცენტრები
კ&იტ (C&IT)	კავშირები და ინფორმაციული ტექნოლოგიები
გაპვ (COTS)	გაყიდვაში არსებული პროგრამული პროდუქტი
თსშს (DTRA)	თავდაცვის საფრთხის შემცირების სააგენტო
თსშო (DTRO)	თავდაცვის საფრთხის შემცირების ოფისი
დზეის (EIDSS)	დაავადების ზედამხედველობის ელექტრონული ინტეგრირებული სისტემა
ჯდესს (HMIS)	ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემა
იტ (IT)	ინფორმაციული ტექნოლოგია
სმსლ (LMA)	სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია
სმს (MoA)	სოფლის მეურნეობის სამინისტრო
ჯანდაცვის სამინისტრო (MoLHSA)	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
დკსჯეც (NCDC&PH)	დაავადებთა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
სეს (NFA)	სმს-ის სურსათის ეროვნული სააგენტო
OIE	ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია
პსკს (PACS)	პათოგენთა საცავის კონტროლის სისტემა
სჯც (PHC)	საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი
სწ (POC)	საკონტაქტო წერტილი
სოპ (SOP)	სტანდარტული ოპერაციული პრაქტიკა ან პროცედურა
დგარ (TADR)	დაავადების გამომწვევის აღმოჩენისა და რეაგირების სისტემა
TBD	დასაზუსტებელია
TOC	მეურვეობის გადაცემა ან შინაარსი
სუგ (TOO)	საკუთრების უფლების გადაცემა
დგარ-ის რმ	დგარ-ის რეაგირების მანქანა
ჯანმო (WHO)	ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია

1. გამოყენების სფერო

1.1 იდენტიფიკაცია

მოცემული გეგმა აღწერს დაავადების ზედამხედველობის ელექტრონული ინტეგრირებული სისტემის (დზეის) პასუხისმგებლობის გადაცემისა და უზრუნველყოფის პროცესს საქართველოში.

მოცემულ დოკუმენტში მოყვანილია ზოგადი ინფორმაცია დზეის-ის პასუხისმგებლობის გადაცემისა და უზრუნველყოფის შესახებ, აგრეთვე საკითხები, რომლებიც დამახასიათებელია საქართველოში დზეის-ის დანერგვისა და დაკავშირებული პასუხისმგებლობების გადაცემის პროცესისთვის.

1.2 სისტემის მიმოხილვა

დზეის-ი წარმოადგენს ელექტრონულ სისტემას, რომელიც შეიქმნა დაავადებების სახელმწიფო დონეზე ზედამხედველობის გაუმჯობესების მიზნით, რომელიც საიმედოდ უზრუნველყოფს ადამიანთან, ცხოველთან, ვექტორთან დაკავშირებული მონაცემების და ლაბორატორიული ინფორმაციის შეგროვებას, გაზიარებასა და ანალიზს ერთ ინტეგრირებულ მონაცემთა ბაზაში მობილური ტელეფონების, ვებ და სტაციონარული წვდომის გამოყენებით. სისტემა მორგების საშუალებებით ადაპტირდება მიმღები ქვეყნის ეპიდზედამხედველობის პრიორიტეტების შესაბამისად. სისტემის შემუშავების პროცესი დაიწყო 2005 წელს, რომელზეც დახარჯულია დაავადების კონტროლისა და პრევენციის ცენტრებისა (დკც) და სხვა უწყებების თანამედროვე ცოდნისა და გამოცდილების 100 000 კაც*სათაზე მეტი. კომპანია „ბლექ & ვიჩმა“, თავდაცვის საფრთხის შემცირების სააგენტოს (თსშს) დაფინანსებით, შეიმუშავა ვერსიები 1-6.

1.3 დოკუმენტის მიმოხილვა

მოცემულ დოკუმენტში მოყვანილია საქართველოსთვის დზეის-ის პასუხისმგებლობის გადაცემისა და უზრუნველყოფის გეგმა. დოკუმენტი შეიცავს პროგრამული მხარდაჭერის აუცილებელი რესურსების, რეკომენდებული პროცედურების, ტრენინგების და პასუხისმგებლობის გადაცემის დაგეგმვის პროცესის აღწერილობას. დოკუმენტში ასევე განხილულია გადაცემის ინდივიდუალური მიდგომა, დზეის-ის სისტემის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული რეკომენდაციები, შესრულების ვადები და პასუხისმგებლობების გადაცემის გეგმა. დოკუმენტი არ შეიცავს სისტემის ოპერირებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, რომელიც განხილულია მომხმარებლისა და ადმინისტრირების სახელმძღვანელოებში.

დოკუმენტში არ არის განხილული დზეის-ის ღია კოდის (EIDSS Open Source) გარემო. ამაში შედის დზეის-ის ქსელის, დომენების და დზეის-ის პროგრამული უზრუნველყოფის ადმინისტრირება.

1.4 სხვა გეგმებთან ურთიერთკავშირი

მოცემულ დოკუმენტში მოყვანილია დზეის-ისთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის გადაცემის კონკრეტული დეტალები. ბჩეპ-ის უზრუნველყოფასა და პასუხისმგებლობის გადაცემასთან დაკავშირებული გეგმის შესახებ ყოვლისმომცველ ინფორმაციას ზედამხედველობას უწევს თსშს-ს ბჩეპ-ის ქვეყნის ხელმძღვანელი. ეს ინფორმაცია მოცემულია საქართველოსთვის ბჩეპ-ის „გადაცემის ერთობლივ გეგმაში“ (Joint Transition Plan), სადაც წინამდებარე დოკუმენტი ნახსენებია როგორც ცალკეული დოკუმენტი.

2. წყაროს სახით გამოყენებული დოკუმენტები

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ჩამოთვლილია ის დოკუმენტები, რომლებიც წყაროს სახით არის გამოყენებული ამ დოკუმენტში. ეს დოკუმენტები ხელმისაწვდომია (გახდება ხელმისაწვდომი) ქართულ ენაზე, საჭიროების შემთხვევაში, თუ იქნება შესაბამისი მოთხოვნა.

ცხრილი 1. წყაროს სახით გამოყენებული დოკუმენტები

#	სათაური	ID №	ვერსიის/გამოცემის №	აღწერილობა	ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე
1	ქვეყანაში დზეის-ის მორგება-ინდივიდუალიზაციის პაკეტი				დიახ
2	დზეის-ის გადათარგმნის სოპ-ი				მოთხოვნის შემთხვევაში
3	დზეის-ის სამუშაო ობიექტების მართვის სოპ-ი				მოთხოვნის შემთხვევაში
4	დზეის-ის ტექნოლოგიებისა და მხარდაჭერის სოპ-ი	026-TADR-EN-0010	1.6	დზეის-ის კ&იტ ოპერაციებისა და მხარდაჭერის გეგმა	მოთხოვნის შემთხვევაში
5	ქვეყანაში დზეის-ის მორგება-ინდივიდუალიზაციის სოპ-ი				მოთხოვნის შემთხვევაში
6	მიმდინარე მორგება-ინდივიდუალიზაციის მოთხოვნების განახლების პროცესი				მოთხოვნის შემთხვევაში
7	დზეის-ის მორგება-ინდივიდუალიზაციის პროცესი - ბიზნეს-პროცესის მოდული				მოთხოვნის შემთხვევაში
8	დზეის-ის ადმინისტრირების სახელმძღვანელო	Admin_Manual		სახელმძღვანელო	დიახ

#	სათაური	ID №	ვერსიის/გამოცემის №	აღწერილობა	ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე
9	დზეის-ის ანალიზის, ვიზუალიზაციისა და ანგარიშების მოდულის სახელმძღვანელო	AVR_Manual		სახელმძღვანელო	დიახ
10	დზეის-ის ხელის მოწყობილობის სახელმძღვანელო	HH_Manual		სახელმძღვანელო	დიახ
11	დზეის-ის მომხმარებლის სახელმძღვანელო	User Manual		სახელმძღვანელო	დიახ
12	დზეის-ის ვებ ვერსიის მომხმარებლის სახელმძღვანელო	WEB_Manual		სახელმძღვანელო	დიახ
13	დზეის-ის „ფუნქციონირების კონცეფცია“	CO-040-TADR-EN-0100	1	დაავადების ზედამხედველობის ელექტრონული ინტეგრირებული სისტემა (დზეის) სისტემის განმარტება - „ფუნქციონირების კონცეფცია“	მოთხოვნის შემთხვევაში
14	ვეტერინარული მოდულის ინსტრუქცია	083-EIDSS-EN-0406		ტრენინგის ინსტრუქცია	დიახ
15	ადამიანის დაავადების მოდულის ინსტრუქცია	083-EIDSS-EN-0407		ტრენინგის ინსტრუქცია	დიახ
16	ლაბორატორიული მოდულის ინსტრუქცია	083-EIDSS-EN-0408		ტრენინგის ინსტრუქცია	დიახ
17	ვექტორებზე ზედამხედველობის მოდულის ინსტრუქცია	083-EIDSS-EN-0409		ტრენინგის ინსტრუქცია	დიახ
18	დზეის-ის სტაციონარული ვერსიის შესავალი	083-EIDSS-EN-0410		ტრენინგის ინსტრუქცია	დიახ
19	ადმინისტრაციული მოდულის ინსტრუქცია	083-EIDSS-EN-0411		ტრენინგის ინსტრუქცია	დიახ
20	ავა მოდულის ინსტრუქცია	083-EIDSS-EN-0412		ტრენინგის ინსტრუქცია	დიახ
21	ადამიანის დაავადების მოდულის ვებ-ვერსიის ინსტრუქცია	083-EIDSS-EN-0413		ტრენინგის ინსტრუქცია	დიახ

#	სათაური	ID №	ვერსიის/გამოცემის №	აღწერილობა	ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე
22	ვეტერინარული მოდულის ვებ-ვერსიის ინსტრუქცია	083-EIDSS-EN-0414		ტრენინგის ინსტრუქცია	დიახ
23	ლაბორატორიული მოდულის ვებ-ვერსიის ინსტრუქცია	083-EIDSS-EN-0415		ტრენინგის ინსტრუქცია	დიახ
24	ვექტორული მოდულის ვებ-ვერსიის ინსტრუქცია	083-EIDSS-EN-0416		ტრენინგის ინსტრუქცია	დიახ
25	ადამიანის დაავადების მოდულის ვებ-მობილური ვერსიის ინსტრუქცია	083-EIDSS-EN-0417		ტრენინგის ინსტრუქცია	დიახ
26	ვეტერინარული მოდულის ვებ-მობილური ვერსიის ინსტრუქცია	083-EIDSS-EN-0418		ტრენინგის ინსტრუქცია	დიახ
27	ეპიდაფეთქების მოდულის ვებ-ვერსიის ინსტრუქცია	083-EIDSS-EN-0419		ტრენინგის ინსტრუქცია	დიახ
28	დზეის-ის ტრენინგის შესავალი - პრეზენტაცია	081-EIDSS-EN-0420		პრეზენტაცია	დიახ
29	ადამიანის დაავადების მოდულის ტრენინგის შემდგომი ტესტი	084-EIDSS-EN-0421		ადამიანის დაავადების მოდულის ტესტი	დიახ
30	ლაბორატორიული მოდულის ტრენინგის შემდგომი ტესტი	084-EIDSS-EN-0422		ლაბორატორიული მოდულის ტესტი	დიახ
31	ვეტერინარული მოდულის ტრენინგის შემდგომი ტესტი	084-EIDSS-EN-0423		ვეტერინარული მოდულის ტესტი	დიახ
32	ვექტორული მოდულის ტრენინგის შემდგომი ტესტი	084-EIDSS-EN-0424		ვექტორული მოდულის ტესტი	დიახ
33	კ&იტ ტრენინგის გეგმა	025-TADR-EN-0001	7.0	ტრენინგის გეგმა	დიახ
34	დზეის-ის ტრენინგის მასალები ადამიანის დაავადების მოდულისთვის	EIDSS_Epi-Human გამოცდა		სავარჯიშოები და ტესტები	დიახ
35	დზეის-ის ტრენინგის მასალები ვეტ მოდულისთვის	EIDSS_Epi-Vet გამოცდა		სავარჯიშოები და ტესტები	დიახ
36	დზეის-ის ტრენინგის მასალები	EIDSS_Lab გამოცდა		სავარჯიშოები და ტესტები	დიახ

#	სათაური	ID №	ვერსიის/გამოცემის №	აღწერილობა	ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე
	ლაბორატორიული მოდულისთვის				
37	დზეის-ის ტრენინგის მასალები ვექტორული მოდულისთვის	EIDSS_Vector გამოცდა		სავარჯიშოები და ტესტები	დიახ
38	დზეის-ის პრეზენტაცია	დზეის-ის საფუძვლები		პრეზენტაცია მომხმარებლებისთვის	დიახ
39	დზეის-ის სისტემის არქიტექტურის დიზაინის აღწერილობა (სადა)	SA-050-TADR-EN-0004			მოთხოვნის შემთხვევაში
40	დზეის-ის როუტერების ქსელური კონფიგურაციის დიზაინის აღწერილობა	SA-050-TADR-EN-0018			მოთხოვნის შემთხვევაში
41	დზეის-ის სისტემის და ქსელის IP დამისამართების სქემა და სახელების მინიჭების პრინციპი	SA-050-TADR-EN-0015			მოთხოვნის შემთხვევაში
42	დზეის-ის სარეზერვო ასლის გაკეთება და აღდგენა	050-EIDSS-EN-0015			მოთხოვნის შემთხვევაში
43	დზეის-ის დანერგვის სახელმძღვანელო ტიპიური ინსტალაციის დროს	SA-050-EIDSS-EN-0019			მოთხოვნის შემთხვევაში
44	დზეის-ის აპარატურა/ გაყიდვაში არსებული პროგრამული პროდუქტის სპეციფიკაცია	SA-050-TADR-EN-0005			მოთხოვნის შემთხვევაში
45	დზეის-ის სამუშაო ობიექტის სპეციფიური დიზაინი				მოთხოვნის შემთხვევაში

3. პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერის რესურსები

ამ ნაწილში აღწერილია დზეის-ის მხარდაჭერისთვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერის რესურსები. ეს ნაწილი მოიცავს სისტემის მორგება-ინდივიდუალიზაციისთვის, გაფართოებისთვის, მონიტორინგისთვის, კონტროლისა და მხარდაჭერისთვის საჭირო რესურსებს, რომლებიც დაყოფილია შემდეგ სფეროებად:

- დზეის-ის მორგება-ინდივიდუალიზაცია – სისტემის ადგილობრივ საჭიროებებზე მორგება-კონფიგურირების პროცესი, ისეთი ელემენტების ჩათვლით როგორიცაა საცნობარო სიდიდეები, შემთხვევის განსაზღვრებები, მომხმარებლის წვდომის უფლებები, მონაცემთა ნაკადის ფილტრაციის პარამეტრები, მონაცემთა არქივირების პარამეტრები, პირად მონაცემებზე წვდომის პარამეტრები, სავალდებულო ველების პარამეტრები, სტატისტიკური მონაცემები, სპეციფიკური ანგარიშები და გის. მორგება-ინდივიდუალიზაციის ზოგიერთი პროცესი (სპეციფიკური ანგარიშების მომზადება, მონაცემთა ნაკადის ფილტრაციის პარამეტრები, მონაცემთა არქივირების პარამეტრები, პირად მონაცემებზე წვდომის პარამეტრები, სავალდებულო ველების პარამეტრები) მოითხოვს პროგრამული კოდის დაწერას, რაც ამ დოკუმენტის ფარგლებს სცილდება. გის-თან დაკავშირებული მონაცემების დამუშავება მოითხოვს გის-ის სპეციალურ უნარ-ჩვევებს, რისი უზრუნველყოფა შესაძლებელია ადგილობრივი გის პროვაიდერების რესურსების მოზიდვით ან „ღია პროგრამული კოდის უზრუნველყოფის საზოგადოების“ დახმარებით.
- დზეის-ის თარგმნა – სისტემის მომხმარებლის ინტერფეისის, მათ შორის მონაცემთა ბაზის ცნობარების, შემთხვევის განსაზღვრებების ტერმინების და გის ეტიკეტების, ენის ცვლილების პროცესი. მონაცემთა შეყვანის ფორმებში, ანგარიშებსა და დახმარებაში გამოყენებული ტერმინების თარგმნა, რაც მოითხოვს კოდის განმეორებით კომპილაციას, სცილდება მოცემული დოკუმენტის ფარგლებს.
- დზეის-ის სამუშაო ობიექტის მართვა – დზეის-ის სამუშაო ობიექტების დამატება/ამოღება/მოდიფიცირება.
- დზეის-ის აპარატურის, პროგრამული უზრუნველყოფისა და ქსელის მონიტორინგის სისტემა – დზეის-ის აპარატურის, პროგრამული უზრუნველყოფისა და ქსელის ინფრასტრუქტურის გამართული მდგომარეობის მონიტორინგი
- დზეის-ის დისტანციური წვდომა – სისტემის ადმინისტრირების მიზნით დზეის-ის სამუშაო ობიექტებზე დისტანციური წვდომის ინსტრუმენტი
- დზეის-ის ტექნიკური დახმარების სისტემა – ტექნიკური დახმარების სისტემა გამოიყენება დზეის-ში შეცდომებისა და პრობლემების შესახებ და დახმარების სამსახურში მოთხოვნების დასარეგისტრირებლად და დასამუშავებლად

პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერის სფეროების დეტალური აღწერილობა მოყვანილია ქვემოთ:

1) დზეის-ის მორგება-ინდივიდუალიზაცია:

დზეის-ის მორგება-ინდივიდუალიზაცია – სისტემის ადგილობრივ საჭიროებებზე მორგების პროცესი, მათ შორის, ზედამხედველობის არსებული პრიორიტეტების, ყველაზე უახლესი შემთხვევის განსაზღვრებებისა და გის მონაცემების მხარდაჭერისთვის. მორგება-ინდივიდუალიზაცია ითვალისწინებს შემდეგ სფეროებს:

- (1) საცნობარო ცხრილების სიდიდეები და მათი ერთმანეთს შორის ურთიერთკავშირის სხვადასხვა მატრიცების საშუალებით კონფიგურაცია, (2) სტაციონარული და ვებ ვერსიის მონაცემთა შეყვანის მოქნილი ფორმების კონფიგურაცია (დზეის-ის ინტერფეისის ფორმების მორგებადი ნაწილი), (3) მომხმარებელთა სხვადასხვა ჯგუფებისთვის მომხმარებლის წვდომის უფლებების

კონფიგურაცია, (4) სხვადასხვა სამუშაო ობიექტებს შორის მონაცემთა ფილტრაციის პარამეტრების კონფიგურაცია, (5) მონაცემთა არქივირების პარამეტრების კონფიგურაცია, (6) მომხმარებელთა სხვადასხვა ჯგუფებისთვის პაციენტების/ფერმერების პირად მონაცემებზე წვდომის პარამეტრების კონფიგურაცია, (7) დზეის-ის მონაცემთა შეყვანის ფორმებში სავალდებულო ველების ჩამონათვალის კონფიგურაცია, (8) სტატისტიკური მონაცემების და მათი ტიპების კონფიგურაცია, (9) სპეციფიკური ანგარიშების კონფიგურაცია და (10) გის მონაცემების კონფიგურაცია.

დზეის-ის მორგება-ინდივიდუალიზაცია შესაძლებელია ორი გზით: ცალკეული ცვლილებების შეტანა შესაძლებელია დზეის-ის ადმინისტრაციული ინტერფეისის გამოყენებით; ერთიანად ბევრი ცვლილებების (მათ შორის, გის მონაცემების ცვლილებების) განხორციელება შესაძლებელია მოწოდებული SQL „სკრიპტებისა“ და კონფიგურაციის შაბლონების საშუალებით, რომლებიც აღწერს კონფიგურაციის არსებულ და სასურველ მდგომარეობას.

დზეის-ის ადმინისტრაციული მოდულის გამოყენებით ცვლილებების განხორციელების პროცესი აღწერილია „ადმინისტრაციულ სახელმძღვანელოში“. SQL „სკრიპტების“ საშუალებით ერთიანად ბევრი ცვლილებების განხორციელების პროცესები, ისევე როგორც რეკომენდაციები აღწერილია [ქვეყანაში დზეის-ის მორგება-ინდივიდუალიზაციის სოპ-ში].

2) დზეის-ის თარგმნა:

შესაძლებელია დზეის-ის შემდეგი კომპონენტების ლოკალიზაცია: (1) სისტემის ინტერფეისი, (2) საცნობარო სიდიდეები, (3) გის მონაცემები, (4) სტაციონარული და ვებ ვერსიის მონაცემთა შეყვანის მოქნილი ფორმების კონფიგურაცია (დზეის-ის ინტერფეისის ფორმების მორგებადი ნაწილი), (5) სპეციფიკური ანგარიშები.

დზეის-ის საცნობარო სიდიდეების, გის მონაცემებისა და მონაცემთა შეყვანის მოქნილი ფორმების თარგმანის შესრულება შესაძლებელია ორი გზით: ცალკეული ცვლილებების შეტანა შესაძლებელია დზეის-ის ადმინისტრაციული მოდულის გამოყენებით; ერთიანად ბევრი ცვლილებების (მათ შორის, გის მონაცემების ცვლილებების) განხორციელება შესაძლებელია მოწოდებული SQL „სკრიპტების“ საშუალებით. სისტემის ინტერფეისისა და სპეციფიკური ანგარიშების დზეის-ში თარგმნა შესაძლებელია „პროგრამული უზრუნველყოფის ლოკალიზაციის ინსტრუმენტის“ (SLT) საშუალებით.

დზეის-ის ადმინისტრაციული მოდულის გამოყენებით თარგმანის ცვლილებების განხორციელების პროცესი აღწერილია „ადმინისტრაციულ სახელმძღვანელოში“. SQL

„სკრიპტებისა“ და SLT ინსტრუმენტის საშუალებით თარგმანში ერთიანად მრავალი ცვლილებების განხორციელების პროცესები, ასევე რეკომენდაციები აღწერილია [დზეის-ის თარგმანის სოპ-ში].

3) დზეის-ის სამუშაო ობიექტების მართვა:

დზეის-ის სისტემაში ახალი სამუშაო ობიექტის დამატება ხორციელდება [დზეის-ის სამუშაო ობიექტების მართვის სოპ-ის] შესაბამისად.

4) დზეის-ის მონიტორინგი:

დზეის-ის მონიტორინგის სისტემა მოიცავს ორ ნაწილს – აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის მონიტორინგის სისტემას და დზეის-ის ქსელის მონიტორინგის ინსტრუმენტს.

დზეის-ის მონიტორინგის სისტემა მოიცავს დზეის-ის სისტემის გამართული მდგომარეობის კონტროლის შემდეგი ამოცანები: (1) სერვერისა და სტაციონარული აპარატურის გამართული მდგომარეობის სტატუსი – პროცესორის დატვირთვა, ოპერატიული მეხსიერების დატვირთვა, მყარ დისკზე თავისუფალი ადგილი და გამართული მდგომარეობა, აპარატურის ტემპერატურა და კვების სტატუსი, (2) სერვერისა და სტაციონარული აპარატურის პროგრამული უზრუნველყოფის გამართული მდგომარეობის სტატუსი – Microsoft Windows Server-ის შეცდომები, Microsoft SQL Server-ის დავალებების სტატუსი, SQL-ის რეპლიკაციის სტატუსი, (3) ქსელური აპარატურის სტატუსი – როუტერების პროცესორისა და ოპერატიული მეხსიერების დატვირთვა, ინტერფეისების გამტარუნარიანობის დატვირთვა და (4) მორგებადი ანგარიშები დზეის-ის მდგომარეობის სტატუსის შესახებ.

მონიტორინგის კონფიგურაციები და სისტემის გამართული მდგომარეობის ანგარიშების შექმნა აღწერილია [დზეის-ის ტექნომსახურებისა და მხარდაჭერის სოპ-ში].

5) დზეის-ის დისტანციური წვდომა:

დზეის-ის დისტანციური წვდომა საჭიროა დზეის-ის სამუშაო ობიექტების დისტანციური მხარდაჭერისა და შეცდომების მოძიებისა და გამოსწორებისთვის. დზეის-ის დისტანციური წვდომის ინსტრუმენტის გამოყენება უნდა მოხდეს ყველა ადგილობრივი კანონისა და რეგულაციის დაცვით. დზეის-ის დისტანციური წვდომის ინსტრუმენტის გამოყენება აღწერილია [დზეის-ის ტექნომსახურებისა და მხარდაჭერის სოპ-ში].

6) დზეის-ის ტექნიკური დახმარების სისტემა:

დზეის-ის ტექნიკური დახმარების სისტემა გამოიყენება დზეის-ში შეცდომების,

პრობლემებისა და ცვლილებების შესახებ მოთხოვნების დასარეგისტრირებლად. იგი გამიზნულია, რომ გამოყენებული იყოს როგორც ტექნიკური დახმარების სტანდარტული გამოყენებითი პროგრამა, რომლის დანიშნულებაც IT მხარდაჭერის უზრუნველყოფა მომხმარებლის IT-სთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ უახლესი ინფორმაციის გამოყენებით, პრობლემებზე რეაგირების დროის მინიშუმამდე დაყვანა, პრობლემების ესკალაციის პროცედურების მკვეთრი უზრუნველყოფა, პრობლემების მონიტორინგის უზრუნველყოფა, სტატისტიკური ინფორმაციის მიწოდება და პოტენციური IT პრობლემების პრევენციასა და გამოვლენაში დახმარება.

ეს რესურსები დზეის-ის მიმღებ ქვეყანას უზრუნველყოფს ინსტრუმენტებით, რომლებიც საჭიროა DTRA-სგან და ბ&ვ-სგან დამოუკიდებლად სისტემის მდგრადობის შენარჩუნებისა და ადაპტაციისთვის.

მორგება-ინდივიდუალიზაციის გარკვეული გაფართოებული საჭიროებები, რომლებიც დაკავშირებულია ახალი ვერსიების გამოშვებასთან (ზემოთ იხილეთ მაგალითების დეტალური ჩამონათვალი) ან სისტემის ძირითად ნაწილში (კოდში) ზოგიერთი დეფექტის/შეცდომის აღმოფხვრასთან, მოითხოვს დახმარებას პროგრამისტთა ჯგუფისგან, რომლებსაც ღრმა ცოდნა გააჩნიათ სისტემაში და ზედმიწევნით ერკვევიან დზეის-ის პროექტში. ამ უნარ-ჩვევების ხელმისაწვდომობა და უწყვეტი ჩართულობა მიიღწევა „ღია პროგრამული კოდის უზრუნველყოფის საზოგადოებაში“ მონაწილეობით. აღნიშნულ საზოგადოებას შეუძლია დამატებითი დახმარების გაწევა, ასევე გამოიყენოს მომხმარებლების გამოხმაურება ახალი მოთხოვნებისა და ტესტირების გზით. „ღია პროგრამული კოდის უზრუნველყოფის საზოგადოების“ რესურსებისა და მისი მუშაობის დეტალური აღწერილობა მოცემული დოკუმენტის ფარგლებს სცილდება და განხილული იქნება DTRA-ს მიერ. ინფორმაციისთვის იხილეთ <http://eidss.codeplex.com>.

ქვემოთ მოყვანილი აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის რესურსები რეკომენდებულია დზეის-ის შემქმნელების მიერ, მაგრამ მათ ნაცვლად შესაძლებელია სხვა მსგავსი ინსტრუმენტების გამოყენება, სავარაუდოდ ისეთების, რომლებიც უკვე ხელმისაწვდომია დზეის-ის მიმღებ ქვეყანაში.

3.1 ინფრასტრუქტურა

დზეის-ისთვის გამოყენებული სასერვერო აპარატურა უნდა განთავსდეს ცალკე სასერვერო ოთახში, რომელიც აღჭურვილი უნდა იყოს ფიზიკური წვდომის კონტროლის სისტემითა და კონდიციონერების სისტემით. სასერვერო ოთახი უნდა აკმაყოფილებდეს მონაცემთა შენახვის პირობების შესაბამის ყველა ადგილობრივ ნორმებსა და წესებს.

დზეის-ისთვის გამოყენებული სტაციონარული აპარატურის განთავსების პირობები უნდა აკმაყოფილებდეს კომპიუტერთი აღჭურვილი სამუშაო ადგილებისთვის შესაფერის ყველა ადგილობრივ ნორმებსა და წესებს. ზოგადი, ადგილობრივი და სამუშაო ობიექტებისთვის

სპეციფიკური მოთხოვნები განხილულია „სამუშაო ობიექტის შესწავლა“ და „დზეის-ის სამუშაო ობიექტის სპეციფიური დიზაინი“-ს დოკუმენტაციაში.

3.2 აპარატურული უზრუნველყოფა

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ჩამოთვლილია გამოსაყენებელი პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერისთვის საჭირო აპარატურა თავისი იდენტიფიკაციით, აღწერილობით და დაკავშირებული დოკუმენტაციით. მხარდაჭერის ამოცანების უმეტესობა შესაძლებელია შესრულდეს არსებული სტაციონარული აპარატურის გამოყენებით ადგილობრივი ინფორმაციის უსაფრთხოების კანონმდებლობის და წესების დაცვით. გამონაკლისები ნახსენები იქნება როგორც მოცემულ დოკუმენტში ასევე ინფორმაციის უსაფრთხოების შემუშავებული დოკუმენტებში.

ცხრილი 2. საჭირო აპარატურის ჩამონათვალი და აღწერილობა

აპარატურა	აღწერილობა
დზეის-ის მორგება-ინდივიდუალიზაციის /თარგმნის/მართვის სამუშაო სადგური	a. სპეციფიკური მოდელი, ვერსიები, კონფიგურაციები: დზეის-ის მორგება-ინდივიდუალიზაციის /თარგმნის/მართვის სამუშაო სადგური - პროცესორი: 4 ბირთვიანი - ოპერატიული მეხსიერება: 4 გბ - თავისუფალი ხელმისაწვდომი მეხსიერება: 60 გბ - ოპერაციული სისტემა: Windows 7; Windows 8.1. b. დასაბუთება: პროგრამული უზრუნველყოფის ინსტრუმენტის მინიმალური მოთხოვნები Microsoft SQL Server 2008 R2 Express with Advanced Services-თვის c. მომხმარებლის/ოპერატორის სახელმძღვანელო: მოწოდებულია შესაბამისი მწარმოებლის მიერ d. შესყიდვის სტატუსი: სისტემის მიმღები ქვეყანისთვის მიწოდებული დზეის-ის სტანდარტული სამუშაო სადგური შეიძლება გამოყენებულიყოს საჭირო ფუნქციების შესასრულებლად e. შესყიდვისთვის მისაწვდომობა: ინფორმაცია არ მოიპოვება f. მწარმოებლის მხარდაჭერა, ლიცენზირება, მონაცემებზე უფლებები და ა.შ.: იხილეთ მწარმოებლის დოკუმენტაცია g. უსაფრთხოება/კონფიდენციალურობა: არ მოითხოვება
დზეის-ის აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის მონიტორინგის სისტემის სერვერი	a. სპეციფიკური მოდელი, ვერსიები, კონფიგურაციები: ვირტუალური მანქანა მონიტორინგის სერვერზე - პროცესორი: 4 ბირთვიანი - ოპერატიული მეხსიერება: 6 გბ - თავისუფალი ხელმისაწვდომი მეხსიერება: 100 გბ - ოპერაციული სისტემა: RHEL 6.2, CentOS 6.2 b. დასაბუთება: პროგრამული უზრუნველყოფის ინსტრუმენტის მინიმალური მოთხოვნები Nagios XI-სთვის. c. მომხმარებლის/ოპერატორის სახელმძღვანელო: მოწოდებულია შესაბამისი მწარმოებლის მიერ. d. შესყიდვის სტატუსი: სისტემის მიმღები ქვეყანისთვის მიწოდებული დზეის-ის სტანდარტული კომპონენტი. e. შესყიდვისთვის მისაწვდომობა: ინფორმაცია არ მოიპოვება f. მწარმოებლის მხარდაჭერა, ლიცენზირება, მონაცემებზე უფლებები და ა.შ.: იხილეთ მწარმოებლის დოკუმენტაცია. g. უსაფრთხოება/კონფიდენციალურობა: არ მოითხოვება

აპარატურა	აღწერილობა
დზეის-ის ქსელის მონიტორინგის სერვერი	a. სპეციფიკური მოდელი, ვერსიები, კონფიგურაციები: ვირტუალური მანქანა მონიტორინგის სერვერზე • პროცესორი: 4 ბირთვიანი • ოპერატიული მეხსიერება: 6 გბ • თავისუფალი ხელმისაწვდომი მეხსიერება: 100 გბ • ოპერაციული სისტემა: Windows 7; Windows Server 2008 R2, Windows Server 2012, RHEL 6.2, CentOS 6.2 b. დასაბუთება: პროგრამული უზრუნველყოფის ინსტრუმენტის მინიმალური მოთხოვნები ManageEngine NetFlow Analyzer 9-სთვის c. მომხმარებლის/ოპერატორის სახელმძღვანელო: მოწოდებულია შესაბამისი მწარმოებლის მიერ. d. შესყიდვის სტატუსი: სისტემის მიმღები ქვეყანისთვის მიწოდებული დზეის-ის სტანდარტული კომპონენტი. e. შესყიდვისთვის მისაწვდომობა: ინფორმაცია არ მოიპოვება f. მწარმოებლის მხარდაჭერა, ლიცენზირება, მონაცემებზე უფლებები და ა.შ.: იხილეთ მწარმოებლის დოკუმენტაცია. g. უსაფრთხოება/კონფიდენციალურობა: არ მოითხოვება
დზეის-ის დისტანციური წვდომის სერვერები/სამუშაო სადგურები	a. სპეციფიკური მოდელი, ვერსიები, კონფიგურაციები: დზეის-ის სერვერი/სამუშაო სადგური • პროცესორი: 4 ბირთვიანი • ოპერატიული მეხსიერება: 4 გბ • თავისუფალი ხელმისაწვდომი მეხსიერება: 20 გბ • ოპერაციული სისტემა: Windows 7; Windows 8.1; Windows Server 2008 R2; Windows Server 2012R2. b. დასაბუთება: პროგრამული უზრუნველყოფის ინსტრუმენტის მინიმალური მოთხოვნები TeamViewer 8-სთვის c. მომხმარებლის/ოპერატორის სახელმძღვანელო: მოწოდებულია შესაბამისი მწარმოებლის მიერ. d. შესყიდვის სტატუსი: ინსტრუმენტი დაინსტალირებულია დზეის-ის სერვერებზე / სამუშაო სადგურებზე , რომელიც მიწოდებულია სისტემის მიმღები ქვეყანისთვის.. e. შესყიდვისთვის მისაწვდომობა: ინფორმაცია არ მოიპოვება f. მწარმოებლის მხარდაჭერა, ლიცენზირება, მონაცემებზე უფლებები და ა.შ.: იხილეთ მწარმოებლის დოკუმენტაცია. g. უსაფრთხოება/კონფიდენციალურობა: არ მოითხოვება
დზეის-ის ტექნიკური დახმარების სისტემის სერვერი	a. სპეციფიკური მოდელი, ვერსიები, კონფიგურაციები: ვირტუალური მანქანა მონიტორინგის ან დზეის-ის სერვერზე • პროცესორი: 4 ბირთვიანი • ოპერატიული მეხსიერება: 6 გბ • თავისუფალი ხელმისაწვდომი მეხსიერება: 60 გბ • ოპერაციული სისტემა: Windows Server 2008R2, 2012R2; b. დასაბუთება: პროგრამული უზრუნველყოფის ინსტრუმენტის მინიმალური მოთხოვნები SpiceWorks-თვის c. მომხმარებლის/ოპერატორის სახელმძღვანელო: მოწოდებულია შესაბამისი მწარმოებლის მიერ. d. შესყიდვის სტატუსი: მიმღები ქვეყანისთვის უნდა მოხდეს სისტემის მიწოდება დზეის-ს პასუხისმგებლობების გადაცემის გეგმის ფარგლებში. e. შესყიდვისთვის მისაწვდომობა: ინფორმაცია არ მოიპოვება

აპარატურა	აღწერილობა
	ფ. მწარმოებლის მხარდაჭერა, ლიცენზირება, მონაცემებზე უფლებები და ა.შ.: იხილეთ მწარმოებლის დოკუმენტაცია. გ. უსაფრთხოება/კონფიდენციალურობა: არ მოითხოვება

აპარატურის განახლება

აპარატურის განახლებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს სისტემის მდგრადობისთვის. დროული განახლების ჩატარებით მცირდება შეცდომებისა და მწყობრიდან გამოსვლის რისკი, მცირდება გარე ინციდენტების ხანგრძლივობა, აღარ ხდება აპარატურის მოძველება და იზრდება სისტემის ექსპლუატაციის ვადა. აპარატურის განახლებით შესაძლებელია ფუნქციონირების ხარისხის გაუმჯობესება ტექნოლოგიის გაძლიერების გზით.

ტექნომსახურების გეგმა მოიცავს მწარმოებლის სპეციფიკურ სათადარიგო ნაწილებს, მათ შორის, მისაღებ შესაცვლელ ნაწილებს; დროს ნაწილის შესაძენად და შესაცვლელად და შესაფერის ინფორმაციას, რომელიც საჭიროა დაზიანებული ნაწილის შესაძენად და დასამონტაჟებლად.

დანართ ბ-ში მოყვანილია დზეის-ის კონკრეტულ ქვეყანაში გამოყენებული კრიტიკული მნიშვნელობის აპარატურის ჩამონათვალი თავისი მიმდინარე კონფიგურაციით. მნიშვნელოვანია რომ მიმღები ქვეყანა იყოს მზად აპარატურის მომდევნო ცვლილებებისთვის, რადგან მწარმოებლები ცვლიან მიმდინარე მოდელებს განახლებული მოდელებით და წყვეტენ დაძველებული აპარატურის მხარდაჭერას ან სათადარიგო ნაწილების გამოშვებას. აგრეთვე აუცილებელია იმის გააზრებაც, რომ აპარატურის განახლების საჭიროება შეიძლება განპირობებული იყოს ცვლილებებით დზეის-ის შემდეგ ვერსიებში, რაც აისახება სისტემის აპარატურისადმი მოთხოვნების განახლებაზე. აღსანიშნავია, რომ მიმღები ქვეყნის დზეის-ის ვებ ვერსიაზე გადასვლით სასერვერო აპარატურის ნაწილი შეიძლება ამოღებულ იქნეს ექსპლუატაციიდან. აგრეთვე ვებ-ვერსიაზე გადასვლა ამცირებს გარკვეული მოდელების/სპეციფიკაციების სიმკაცრეს სამუშაო სადგურებისადმი. იმის გათვალისწინებით რომ, სამუშაო სადგურების აპარატურა თავსებადია დზეის-ის სამუშაოდ გამოყენებადი პროგრამული უზრუნველყოფის/ბროუზერების ტიპის/ვერსიის მოთხოვნებთან.

რეკომენდირებულია რეგულარულად (მინიმუმ წელიწადში ერთხელ) კრიტიკული აპარატურის განახლებების გეგმის გადახედვა და ცვლილებების ასახვა (მათი არსებობის შემთხვევაში) მდგრადობის და საბიუჯეტო გეგმებში.

დოკუმენტაცია

სისტემის მხარდაჭერისთვის საჭირო აპარატურულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია მოყვანილია ცხრილი 1-ში (პუნქტები 39-45).

3.3 პროგრამული უზრუნველყოფა

დზეის-ის ინსტალაციისთვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფის ჩამოათვალი მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში. ეს ჩამონათვალი რეკომენდებულია ბ&ვ-ის მიერ და რომელსაც ბ&ვ-ის მხარდაჭერის ჯგუფი რეგულარულად იყენებს დზეის-ის პროექტში მონაწილე ყველა ქვეყანაში. შესაძლებელია ამ ჩამონათვალის მორგება კონკრეტული ქვეყნის ადგილობრივი მოთხოვნებისა და წესების შესაბამისად. შესაძლებელია რეკომენდებული პროგრამული უზრუნველყოფის ჩანაცვლება სხვა თავსებადი კომპლექტით, რომელსაც გააჩნია აუცილებელი ფუნქციონალური შესაძლებლობების, ინტერფეისებისა და ფორმატების მხარდაჭერა. პროგრამული უზრუნველყოფის შეცვლის თაობაზე გადაწყვეტილებები უნდა მიიღონ ამ სფეროს ექსპერტებმა, რასაც მომავალში შეიძლება მხარი დაუჭიროს „ღია პროგრამული კოდის უზრუნველყოფის საზოგადოებამ“. „ღია პროგრამული კოდის უზრუნველყოფის საზოგადოების“ შესაძლებლობების აღწერილობა სცილდება წინამდებარე დოკუმენტის ფარგლებს; ინფორმაციისთვის იხილეთ <http://eidss.codeplex.com>.

ცხრილი 3. საჭირო პროგრამული უზრუნველყოფის ჩამონათვალი და აღწერილობა

პროგრამული უზრუნველყოფა	აღწერილობა
Microsoft SQL Server2008 R2 Express with Advanced Services	a. სპეციფიკური მოდელი, ვერსიები, კონფიგურაციები: Microsoft SQL Server2008 R2 Express with Advanced Services b. დასაბუთება: DBMS-თავსებადი ინსტრუმენტი, რომელიც რეკომენდებულია შემდეგი ამოცანებისთვის: - მორგება-ინდივიდუალიზაცია - თარგმანი - სამუშაო ობიექტების მართვა c. მომხმარებლის/ოპერატორის სახელმძღვანელო: მოწოდებულია შესაბამისი მწარმოებლის (Microsoft) მიერ d. შესყიდვის სტატუსი: არსებობს დზეის-ის გარემოს პროგრამული უზრუნველყოფის ნაწილის სახით e. შესყიდვისთვის მისაწვდომობა: ინფორმაცია არ მოიპოვება f. მწარმოებლის მხარდაჭერა, ლიცენზირება, მონაცემებზე უფლებები და ა.შ.: იხილეთ მწარმოებლის დოკუმენტაცია. უფასო. g. უსაფრთხოება/კონფიდენციალურობა: არ მოითხოვება
OpenOffice Calc	a. სპეციფიკური მოდელი, ვერსიები, კონფიგურაციები: OpenOffice Calc b. დასაბუთება: ელექტრონული ცხრილების მართვის პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც რეკომენდებულია შემდეგი ამოცანებისთვის: - მორგება-ინდივიდუალიზაცია - თარგმანი c. მომხმარებლის/ოპერატორის სახელმძღვანელო: მოწოდებულია შესაბამისი მწარმოებლის მიერ d. შესყიდვის სტატუსი: არსებობს დზეის-ის გარემოს პროგრამული უზრუნველყოფის ნაწილის სახით e. შესყიდვისთვის მისაწვდომობა: ინფორმაცია არ მოიპოვება f. მწარმოებლის მხარდაჭერა, ლიცენზირება, მონაცემებზე უფლებები და ა.შ.: იხილეთ მწარმოებლის დოკუმენტაცია. ღია პროგრამული უზრუნველყოფა. უფასო. g. უსაფრთხოება/კონფიდენციალურობა: არ მოითხოვება

პროგრამული უზრუნველყოფა	აღწერილობა
პროგრამული უზრუნველყოფის ლოკალიზაციის ინსტრუმენტი (SLT)	a. სპეციფიკური მოდელი, ვერსიები, კონფიგურაციები: პროგრამული უზრუნველყოფის ლოკალიზაციის ინსტრუმენტი (SLT) b. დასაბუთება: SLT რეკომენდებულია დზეის-ის მონაცემთა ბაზის, მოქნილი ფორმებისა და გის თარგმანში ცვლილებების მიდევნებისთვის. c. მომხმარებლის/ოპერატორის სახელმძღვანელო: მოწოდებულია პასუხისმგებლობების გადაცემის გეგმის ნაწილის სახით d. შესყიდვის სტატუსი: მოწოდებულია პასუხისმგებლობების გადაცემის გეგმის ნაწილის სახით e. შესყიდვისთვის მისაწვდომობა: ინფორმაცია არ მოიპოვება f. მწარმოებლის მხარდაჭერა, ლიცენზირება, მონაცემებზე უფლებები და ა.შ.: უფასო g. უსაფრთხოება/კონფიდენციალურობა: არ მოითხოვება
Nagios XI	a. სპეციფიკური მოდელი, ვერსიები, კონფიგურაციები: Nagios XI b. დასაბუთება: რეკომენდებულია რეპლიკაციის, სერვერის, სერვისებისა და აპარატურის სტატუსის მონიტორინგისთვის. სისტემა მორგებადი და გაფართოებადი სისტემა. ბაზარზე არსებული IT ინფრასტრუქტურის მონიტორინგის ყველაზე ძლიერი სისტემა. c. მომხმარებლის/ოპერატორის სახელმძღვანელო: მოწოდებულია პასუხისმგებლობების გადაცემის გეგმის ნაწილის სახით d. შესყიდვის სტატუსი: სისტემის მიმღები ქვეყნისთვის მიწოდებული დზეის-ის მხარდაჭერის სტანდარტული კომპონენტი. e. შესყიდვისთვის მისაწვდომობა: ინფორმაცია არ მოიპოვება f. მწარმოებლის მხარდაჭერა, ლიცენზირება, მონაცემებზე უფლებები და ა.შ.: მუდმივი ლიცენზია. პროდუქტის მხარდაჭერის და განახლების ყოველწლიური გაგრძელება შეადგენს 4995 აშშ დოლარს. g. უსაფრთხოება/კონფიდენციალურობა: სისტემის მიმღები ქვეყნის მოთხოვნები
ManageEngine Netflow Analyzer	a. სპეციფიკური მოდელი, ვერსიები, კონფიგურაციები: ManageEngine Netflow Analyzer 6 b. დასაბუთება: რეკომენდებულია ინტერნეტ ტრაფიკისა და ინტერნეტის არხების დატვირთვის მონიტორინგისთვის. NetFlow Analyzer, ტრაფიკის ანალიზის სრულფასოვანი ინსტრუმენტი, ნაკადური ტექნოლოგიების გამოყენებით უზრუნველყოფს ქსელის გამტარუნარიანობის ფუნქციონირების ხარისხის რეალურ დროში კონტროლს. c. მომხმარებლის/ოპერატორის სახელმძღვანელო: მოწოდებულია პასუხისმგებლობების გადაცემის გეგმის ნაწილის სახით d. შესყიდვის სტატუსი: სისტემის მიმღები ქვეყნისთვის მიწოდებული დზეის-ის მხარდაჭერის სტანდარტული კომპონენტი. e. შესყიდვისთვის მისაწვდომობა: ინფორმაცია არ მოიპოვება f. მწარმოებლის მხარდაჭერა, ლიცენზირება, მონაცემებზე უფლებები და ა.შ.: მუდმივი ლიცენზია. პროდუქტის მხარდაჭერის და განახლების ყოველწლიური გაგრძელება შეადგენს 582 აშშ დოლარს. g. უსაფრთხოება/კონფიდენციალურობა: სისტემის მიმღები ქვეყნის მოთხოვნები
TeamViewer	a. სპეციფიკური მოდელი, ვერსიები, კონფიგურაციები: TeamViewer 8 b. დასაბუთება: რეკომენდებულია დზეის-ის სამუშაო ობიექტების დისტანციური მხარდაჭერისთვის. მრავალპლატფორმიანი, მძლავრი, გამარტივებული. კარგად მუშაობს ე.წ. ფაერვოლების გამოყენების დროს. c. მომხმარებლის/ოპერატორის სახელმძღვანელო: მოწოდებულია პასუხისმგებლობების გადაცემის გეგმის ნაწილის სახით

პროგრამული უზრუნველყოფა	აღწერილობა
	h. შესყიდვის სტატუსი: შესაბამისი შეთანხმების შემთხვევაში სისტემის მიმღები ქვეყნისთვის მიწოდებული იქნება დზეის-ის მხარდაჭერის სტანდარტული კომპონენტის სახით. d. შესყიდვისთვის მისაწვდომობა: ინფორმაცია არ მოიპოვება e. მწარმოებლის მხარდაჭერა, ლიცენზირება, მონაცემებზე უფლებები და ა.შ.: მუდმივი ლიცენზია. f. უსაფრთხოება/კონფიდენციალურობა: სისტემის მიმღები ქვეყნის მოთხოვნები
SpiceWorks	a. სპეციფიკური მოდელი, ვერსიები, კონფიგურაციები: SpiceWorks b. დასაბუთება: რეკომენდებულია გამოყენება ტექნიკური დახმარების სისტემის სახით დზეის-ის სამუშაო ობიექტებზე სხვადასხვა პრობლემების მიდევნების მიზნით. იოლია სამუშაოდ; ელ.ფოსტით შეტყობინება; მომხმარებლის პორტალი; მომხმარებლის ავტომატური შეტყობინება; ანგარიშები და მონაცემთა ანალიზი; უფასო; რეგულარული უფასო განახლებები/მუდმივი დახვეწა; უფასო მხარდაჭერა. c. მომხმარებლის/ოპერატორის სახელმძღვანელო: მოწოდებულია პასუხისმგებლობების გადაცემის გეგმის ნაწილის სახით d. შესყიდვის სტატუსი: მოწოდებულია პასუხისმგებლობების გადაცემის გეგმის ნაწილის სახით e. შესყიდვისთვის მისაწვდომობა: ინფორმაცია არ მოიპოვება f. მწარმოებლის მხარდაჭერა, ლიცენზირება, მონაცემებზე უფლებები და ა.შ.: უფასო g. უსაფრთხოება/კონფიდენციალურობა: სისტემის მიმღები ქვეყნის მოთხოვნები

პროგრამული უზრუნველყოფის განახლება

დზეის-ის დანერგვა/გამოყენებასთან დაკავშირებული კრიტიკული პროგრამული უზრუნველყოფის ჩამონათვალი და მისი მუშაობის ვადები მოყვანილია ცხრილი 4-ში. იმის მიუხედავად, რომ ყველა ქვემოთ მოყვანილი პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები იქნა შეძენილი და გადაიცემა მიმღები ქვეყნის საკუთრებაში, მნიშვნელოვანია რომ მიმღები-ქვეყანა შესაბამისად მოემზადოს პროგრამული უზრუნველყოფის მუშაობის ვადის ამოწურვისთვის და მათ ახალი ვერსიაზე შესაცვლელად. პროგრამული უზრუნველყოფის ვერსიების განახლება შეიძლება დაკავშირებული იყოს ლიცენზიის ფასის გაზრდასთან, პერსონალის უნარ-ჩვევების ამაღლებასთან და ობიექტებზე განახლებების დანერგვასთან დაკავშირებულ სამუშაოებთან.

ცხრილი 4. კრიტიკული პროგრამული უზრუნველყოფის ჩამონათვალი და მისი მუშაობის ვადები

პროდუქტის დასახელება	მუშაობის დაწყების თარიღი	ძირითადი მხარდაჭერის დასრულების თარიღი	გახანგძლივებული მხარდაჭერის დასრულების თარიღი	სერვის პაკეტის მხარდაჭერის დასრულების თარიღი	შენიშვნები
Windows Server 2008 R2 Enterprise	10/22/2009	1/13/2015	1/14/2020	4/9/2013	
Windows Server 2008 R2 Service Pack 1	2/22/2011	1/13/2015	1/14/2020	ინფორმაცია არ მოიპოვება	მხარდაჭერა დასრულდება

პროდუქტის დასახელება	მუშაობის დაწყების თარიღი	ძირითადი მხარდაჭერის დასრულების თარიღი	გახანგძლივებული მხარდაჭერის დასრულების თარიღი	სერვის პაკეტის მხარდაჭერის დასრულების თარიღი	შენიშვნები
					მომდევნო სერვის პაკეტის გამოშვებიდან 24 თვეში ან პროდუქტის მხარდაჭერის ვადის დასრულებისთანავე, იმის მიხედვით თუ რომელი მოხდება უფრო ადრე.
Windows Server 2012 R2 Standard	11/25/2013	1/9/2018	1/10/2023	ინფორმაცია არ მოიპოვება	
Microsoft SQL Server 2008 R2 Standard	7/20/2010	7/8/2014	7/9/2019	7/10/2012	
Microsoft Windows XP Service Pack 3	4/21/2008	4/14/2009	4/8/2014	ინფორმაცია არ მოიპოვება	მხარდაჭერა დასრულდება მომდევნო სერვის პაკეტის გამოშვებიდან 24 თვეში ან პროდუქტის მხარდაჭერის ვადის დასრულებისთანავე, იმის მიხედვით თუ რომელი მოხდება უფრო ადრე.
Windows 7 Service Pack 1	2/22/2011	1/13/2015	1/14/2020	ინფორმაცია არ მოიპოვება	მხარდაჭერა დასრულდება მომდევნო სერვის პაკეტის გამოშვებიდან 24 თვეში ან პროდუქტის მხარდაჭერის ვადის დასრულებისთანავე, იმის მიხედვით თუ რომელი მოხდება უფრო ადრე.

რეკომენდირებულია რეგულარულად (მინიმუმ წელიწადში ერთხელ) კრიტიკული პროგრამული უზრუნველყოფის განახლებების გეგმის გადახედვა და ცვლილებების ასახვა (მათი არსებობის შემთხვევაში) მდგრადობის და საბიუჯეტო გეგმებში.

დოკუმენტაცია

სისტემის მხარდაჭერისთვის საჭირო პროგრამულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია მოყვანილია ცხრილი 1-ში.

3.4 სხვა დოკუმენტაცია

მოსაწოდებელი პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერისთვის საჭირო სხვა დოკუმენტაციის ჩამონათვალი, მათ შორის, გეგმები, ანგარიშები, შეფასებები, სპეციფიკაციები და ა.შ., მოყვანილია ცხრილი 1-ში.

3.5 პერსონალი

დზეის-ის მხარდაჭერისთვის საჭიროა ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მითითებული პროფესიონალური კატეგორიების მიხედვით მომზადებული პერსონალის ჯგუფი. თითოეულ აღნიშნულ კატეგორიაზე შეიძლება ოცნება იყოს თითო ადამიანი ინდივიდუალურად ან გადანაწილდეს სპეციალისტებს შორის ქვეყანაში სპეციალისტების მისაწვდომობიდან და საკადრო გეგმებიდან გამომდინარე. პროფესიონალების ზუსტი რაოდენობა, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ სისტემის მხარდაჭერა, მერყეობს დზეის-ის მიმღებ ქვეყნებში ქვეყნის მდგრადობისადმი მიდგომიდან გამომდინარე. უსაფრთხოებისადმი აუცილებელი მოთხოვნები (მათი არსებობის შემთხვევაში) განისაზღვრება ადგილობრივი კანონმდებლობით და ხელისუფლების ორგანოებისა ან/და სისტემაში ჩართული ორგანიზაციების გადაწყვეტილებებით.

ცხრილი 5. მოთხოვნები ტექნიკური მხარდაჭერის პერსონალისადმი

პერსონალის კატეგორია	აღწერილობა	შესასრულებელი ამოცანები
სისტემის ადმინისტრატორი	ახორციელებს დზეის-ის პროგრამული უზრუნველყოფის მორგება-ინდივიდუალიზაციას და თარგმნას; სამუშაო ობიექტების მართვის ზოგად მხარდაჭერას; დისტანციურ დახმარებას უწევს საბოლოო მომხმარებლებს.	დზეის-ის მორგება-ინდივიდუალიზაცია დზეის-ის თარგმანი დზეის-ის სამუშაო ობიექტების მართვა: ზოგადი მხარდაჭერა დზეის-თან დისტანციური წვდომა
IT მხარდაჭერის სპეციალისტი	ახორციელებს არსებული და ახალი სამუშაო ობიექტების მონიტორინგს, სისტემის დაყენებას და ტექნომსახურებას; ასრულებს ტექნიკური მხარდაჭერის სამისახურიდან მიღებულ მოთხოვნებს	დზეის-ის სამუშაო ობიექტების მართვა: სისტემის დაყენება დზეის-ის მონიტორინგი დზეის-ის ტექნიკური მხარდაჭერა დზეის-თან დისტანციური წვდომა
ტექნიკური მხარდაჭერის სამსახურის სპეციალისტი	უზრუნველყოფს მომხმარებლის საბაზისო მხარდაჭერას, პროგრამული უზრუნველყოფისა და დზეის-ის აპარატურული უზრუნველყოფის მხარდაჭერას, აფიქსირებს და აკონტროლებს	დზეის-ის ტექნიკური მხარდაჭერა დზეის-თან დისტანციური წვდომა

პერსონალის კატეგორია	აღწერილობა	შესასრულებელი ამოცანები
	საბოლოო მომხმარებლებისგან მიღებულ მოთხოვნებს	

მხარდაჭერის ფუნქციების შესასრულებლად, სწავლება გავლილმა პერსონალმა უნდა შეიძინოს ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ჩამოთვლილი უნარ-ჩვევები. „კბიტ ტრენინგის გეგმა“ მოიცავს იმ რეკომენდებული და აუცილებელი კურსების ჩამონათვალს, რომლებიც საჭიროა არსებული პერსონალის უნარ-ჩვევების დანაკლისის აღმოსაფხვრელად და მხარდაჭერის ფუნქციების ეფექტურად შესასრულებლად.

ცხრილი 6. საჭირო უნარ-ჩვევები და გამოცდილება ამოცანების მიხედვით

ამოცანა	ქვე-ამოცანა	საჭირო უნარ-ჩვევები და გამოცდილება
დზეის-ის მორგება-ინდივიდუალიზაცია	საცნობარო ცხრილების სიდიდეები	SQL და მონაცემთა ბაზის ადმინისტრატორის უნარ-ჩვევები სხვადასხვა ცვლილებების შესატანად. [არ არის აუცილებელი დზეის-ის ინტერფეისიდან გაკეთებული ცვლილებებისთვის]
	გეომონაცემების კონფიგურირება	SQL და მონაცემთა ბაზის ადმინისტრატორის უნარ-ჩვევები სხვადასხვა ცვლილებების შესატანად. [არ არის აუცილებელი დზეის-ის ინტერფეისიდან გაკეთებული ცვლილებებისთვის]
	მონაცემთა შეყვანის მოქნილი ფორმების კონფიგურირება	SQL და მონაცემთა ბაზის ადმინისტრატორის უნარ-ჩვევები სხვადასხვა ცვლილებების შესატანად. [არ არის აუცილებელი დზეის-ის ინტერფეისიდან გაკეთებული ცვლილებებისთვის]
დზეის-ის თარგმნა	საცნობარო სიდიდეები	SQL და მონაცემთა ბაზის ადმინისტრატორის უნარ-ჩვევები სხვადასხვა ცვლილებების შესატანად. [არ არის აუცილებელი დზეის-ის ინტერფეისიდან გაკეთებული ცვლილებებისთვის]
	სტაციონარული, ვებ და ანდროიდის ვერსიებში მონაცემთა შეყვანის ფორმები	SQL და მონაცემთა ბაზის ადმინისტრატორის უნარ-ჩვევები სხვადასხვა ცვლილებების შესატანად. [არ არის აუცილებელი დზეის-ის ინტერფეისიდან გაკეთებული ცვლილებებისთვის]
	გის მონაცემები	SQL და მონაცემთა ბაზის ადმინისტრატორის უნარ-ჩვევები სხვადასხვა ცვლილებების შესატანად. [არ არის აუცილებელი დზეის-ის ინტერფეისიდან გაკეთებული ცვლილებებისთვის]
დზეის-ის სამუშაო ობიექტების მართვა: ზოგადი მხარდაჭერა	ახალი ვებ/სტაციონარული სამუშაო ობიექტის დამატება	SQL და მონაცემთა ბაზის ადმინისტრატორის უნარ-ჩვევები
	ახალი მონაცემთა ცენტრალური საცავის (CDR)/მეორე დონის ობიექტის (SLVL) დამატება	SQL და მონაცემთა ბაზის ადმინისტრატორის უნარ-ჩვევები

ამოცანა	ქვე-ამოცანა	საჭირო უნარ-ჩვევები და გამოცდილება
დზეის-ის სამუშაო ობიექტების მართვა: სისტემის დაყენება	ახალი ვებ/სტაციონარული სამუშაო ობიექტზე სისტემის დაყენება ან გადაყენება	SQL და მონაცემთა ბაზის ადმინისტრატორის ძირითადი უნარ-ჩვევები; Windows XP/7 ექსპლუატაციის ძირითადი უნარ-ჩვევები; Microsoft Active Directory ძირითადი უნარ-ჩვევები; ქსელური კონფიგურაციის ძირითადი უნარ-ჩვევები (ინტერნეტ კავშირი); ანტივირუსით დაცვის საბაზისო ცოდნა; დზეის-ის პროგრამის დაყენების უნარ-ჩვევები.
	ახალი ცენტრალური საცავის (CDR)/მეორე დონის ობიექტის (SLVL) სისტემის დაყენება ან გადაყენება	SQL და მონაცემთა ბაზის ადმინისტრატორის ძირითადი უნარ-ჩვევები; Windows XP/7 ექსპლუატაციის ძირითადი უნარ-ჩვევები; ოპერაციული სისტემების ვირტუალიზაციის საბაზისო ცოდნა; Microsoft Active Directory მაღალი დონის უნარ-ჩვევები; ქსელური კონფიგურაციის მაღალი დონის უნარ-ჩვევები (ინტერნეტ კავშირი, Cisco-ს აპარატურა, VPN); სარეზერვო ასლის გაკეთების/აღდგენის საბაზისო ცოდნა; MS ISS-ს სერვერის საბაზისო ცოდნა; ანტივირუსით დაცვის საბაზისო ცოდნა; (კორპორატიული ვერსია); დზეის-ის პროგრამის დაყენების უნარ-ჩვევები.
დზეის-ის ტექნიკური მხარდაჭერის სამსახური	დზეის-ის პროგრამის მხარდაჭერა	დზეის-ის დანიშნულების ცოდნა; თუ როგორ იმუშაო მასთან; მისი ძირითადი და სპეციფიკური ფუნქციონალური შესაძლებლობები.
	აპარატურული უზრუნველყოფის მხარდაჭერა	საბაზისო ცოდნა კომპიუტერის აპარატურული უზრუნველყოფისა და მისი პერიფერიული მოწყობილობების (უწყვეტი კვების წყარო, სკანერი, პრინტერი, ბეჰაპირების მოწყობილობა), და მათი კაბელების მიერთების შესახებ
	სატელეკომუნიკაციო მხარდაჭერა	საბაზისო ცოდნა ქსელური კონფიგურაციის, სატელეკომუნიკაციო აპარატურის (ინტერნეტ კავშირის USB/კაბელის მოდემები) და მათი კაბელების მიერთების შესახებ.
	პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერა	Windows-ზე დაფუძნებული ძირითადი ოპერაციული სისტემები (XP, Win 7), Open Office/MS Office, ინტერნეტში ძებნის უნარ-ჩვევები, სარეზერვო ასლის გაკეთების/აღდგენის ტექნოლოგიის ცოდნა.
დზეის-ის მონიტორინგი	დზეის-ის აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის ინფრასტრუქტურის მონიტორინგი	SQL და მონაცემთა ბაზის ადმინისტრატორის ძირითადი უნარ-ჩვევები; RedHat-ზე დაფუძნებული linux-ის ძირითადი უნარ-ჩვევები; Windows XP/7/2008/2012 ექსპლუატაციის მაღალი დონის უნარ-ჩვევები; Microsoft Active Directory ძირითადი უნარ-ჩვევები; ქსელური კონფიგურაციის ძირითადი უნარ-ჩვევები; მონიტორინგის სისტემების საბაზისო ცოდნა; IT აპარატურის მომსახურების მაღალი დონის უნარ-ჩვევები;
	დზეის-ის ქსელური	Windows XP/7/2008/2012 ექსპლუატაციის ძირითადი უნარ-

ამოცანა	ქვე-ამოცანა	საჭირო უნარ-ჩვევები და გამოცდილება
	ინფრასტრუქტურის მონიტორინგი	ჩვევები; ქსელური კონფიგურაციის მაღალი დონის უნარ-ჩვევები (ინტერნეტ კავშირი, Cisco ASA, Cisco როუტერები, VPN, მარშრუტიზაცია, NetFlow).
დზეის-თან დისტანციური წვდომა	TeamViewer 8	Windows XP/7 ექსპლუატაციის ძირითადი უნარ-ჩვევები; ქსელური კონფიგურაციის ძირითადი უნარ-ჩვევები;


3.6 სხვა რესურსები

რეკომენდირებულია, რომ დზეის-ის სისტემის უწყვეტი მხარდაჭერის პროცესის უზრუნველყოფის მიზნით არსებობდეს კომპიუტერული ტექნიკის სათანადო კომპლექტების ნაკრები. ნაკრებში უნდა შედიოდეს სათანადო მყარი დისკები, სამუშაო სადგურები, სერვერის აპარატურის გახანგძლივებული საგარანტიო მხარდაჭერა. აგრეთვე თითოეულ სამუშაო ობიექტზე აუცილებლად უნდა იყოს სახარჯი მასალები, როგორცაა A4 ფორმატის ქაღალდი და პრინტერის კარტრიჯები. საჭირო სახარჯი მასალების ზუსტი სპეციფიკაცია და მარაგების საჭირო მოცულობა მოგვიანებით იქნება მოცემული ამ დოკუმენტში.

3.7 კომპონენტების ურთიერთკავშირი

დზეის-ის მხარდაჭერის კომპონენტების ურთიერთკავშირი ნაჩვენებია ქვემოთ ნახაზზე.

ნახ. 1. დზეის-ის მხარდაჭერის კომპონენტების ურთიერთკავშირი



4. რეკომენდირებული პროცედურები

სხვადასხვა ამოცანების შესასრულებლად საჭირო ტიპური რეკომენდებული პროცედურები და დაგროვილი გამოცდილება ჩამოთვლილია წყაროს სახით გამოყენებულ დოკუმენტებში.

5. ტრენინგი

გრძელვადიანი სატრენინგო პროგრამის წარმატებული მდგრადობისთვის საჭიროა: სისტემის მიმღებ ქვეყანაში ინსტრუქტორების პოზიციაზე გამოცდილი პერსონალის შერჩევა: იოლად ადმინისტრირებადი სასაწავლო კურსების, განახლებადი სასაწავლო მასალების ,კომპიუტერზე დაფუძნებული ტრენინგების გადაცემა და შესაბამისი სასაწავლო ტექნიკური საშუალებები.

ბგვ-ის მიმდინარე სასაწავლო პროგრამა ითვალისწინებს მიმღები ქვეყნისათვის მდგრადი ტრენინგების გადაცემას. დზეის-ის დანერგვის პერიოდში სისტემის მხარდაჭერა ხორციელდება მომხმარებლის საფუძვლიანი სწავლების გზით, უკუკავშირისა და შეფასების საფუძველზე განხილვისა და გადახედვის პროცესის ჩათვლით. ბგვ-ის სასაწავლო პროგრამა გათვლილია ადრეულ ეტაპზე თვითუზრუნველყოფის მისაღწევად, თუმცა, აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა შეიძლება ჯერ კიდევ მიმდინარეობს. ეს სისტემის მიმღებ ქვეყანას აძლევს გადმოღების იოლად განხორციელების საშუალებას.

მდგრადი სასაწავლო პროგრამის მიზანია დზეის-ის საბოლოო მომხმარებლების, IT სპეციალისტებისა და სისტემის ადმინისტრატორების სათანადოდ მომზადება გრძელვადიან პერსპექტივაში.

ინსტრუქტორები (ტრენერები)

საბოლოო მომხმარებლების მომზადებისას, სისტემის მიმღები ქვეყნის ხელმძღვანელობამ საბოლოო მომხმარებლებს შორის უნდა შეარჩიოს ის კანდიდატები, რომლებიც გახდებიან ინსტრუქტორები თითოეული მიმართულებით, მაგ., ადამიანის დაავადების ზედამხედველობაში, ვეტდაავადების ზედამხედველობაში, ინფორმაციულ ტექნოლოგიებში, სისტემის ადმინისტრირებაში. ინსტრუქტორობის კანდიდატებად შეირჩევიან ის სპეციალისტები, რომლებიც წარმატებით გაივლიან საბოლოო მომხმარებლების სწავლებას და გარკვეულ დონეზე ექნებათ პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება. ქვეყანა თვითონ გადაწყვეტს, თუ როდის და რამდენი კანდიდატი უნდა შეირჩეს ინსტრუქტორებად. შერჩევის კრიტერიუმები მოიცავს უნარებს, ტერიტორიულ განაწილებას და სპეციალობას. ინსტრუქტორებად შერჩეული პირები რაც შეიძლება მალე გაივლიან ინსტრუქტორებისთვის განკუთვნილ ტრენინგს, რომ შეიძინონ ახალი სპეციალისტებისთვის ტრენინგების ჩატარების გამოცდილება. ქვეყანა თვითონ გადაწყვეტს, თუ როდის უნდა ჩაატაროს ინსტრუქტორების შერჩევა და სწავლება, მაგრამ ეს პროცესი უნდა განხორციელდეს დზეის-ის სრულ დანერგვამდე. ქვეყანა თვითონ გადაწყვეტს ასევე, თუ როდის უნდა მოხდეს ქვეყანაში ინსტრუქტორების ახალი ნაკადის არჩევა ჩანაცვლებისა ან/და როტაციის მოთხოვნებიდან გამომდინარე. ინსტრუქტორების დატრენინგების მეთოდი დეტალურად არის აღწერილი „დზეის-ის და პსკს-ს კვანძ ტრენინგის გეგმაში“.

ტრენინგების კურსები

იმ სასწავლო კურსების დეტალები, რომლებიც გადაეცემა სისტემის მიმღებ ქვეყნებს, განხილული იქნება მოგვიანებით ამ დოკუმენტში. სასწავლო კურსები დეტალურად არის ჩამოთვლილი „დზეის-ის და პსკს-ს კავშირ ტრენინგის გეგმაში“ და სულ ცოტა, მოიცავს:

- კომპიუტერის საბაზო სწავლებას, დზეის-ის მომხმარებლის (ადამიანის მოდული, ვეტერინარული მოდული, ლაბორატორიული მოდული, ავა მოდული) და ავა მოდულის ჩაღრმავებულ ტრენინგებს
- IT სპეციალისტისა და სისტემის ადმინისტრატორების ტრენინგებს

დზეის-ის იტ სასწავლო მასალები

დზეის-ის პროგრამას გააჩნია სისტემის მიმდინარე ვერსიის საბოლოო მომხმარებლისა და სისტემის ადმინისტრატორის სახელმძღვანელოები სისტემის მიმღები ქვეყნის ენაზე. ასევე ხელმისაწვდომია მომხმარებლის მიმდინარე სახელმძღვანელოების ონლაინ ვერსია. პასუხისმგებლობის საბოლოო გადაცემის დროს კიდევ ერთხელ მოხდება აღნიშნული სახელმძღვანელოების მოწოდება რედაქტირებად ფორმატში. დზეის-ის ყოველი ვერსიის გამოშვების პარალელურად ქვეყანაში ხორციელდება ამ სახელმძღვანელოების განხილვისა და შესწორების ინტენსიური პროცესი. თუ საჭირო გახდება დამატებითი შესწორებების შეტანა, სისტემის მიმღებ ქვეყანას ექნება რედაქტირებადი ფორმატი, რომელშიც შევანებისმიერი მომავალი ცვლილებები.

დზეის-ის დანერგვის პერიოდში, სასწავლო კურსის მასალები მზადდება ადგილობრივ ენაზე და გამოიყენება სწავლების ჩასატარებლად ჯერ ქვეყანაში არსებული ბგვ-ის ინსტრუქტორების მიერ, შემდეგ კი სისტემის მიმღები ქვეყნის ინსტრუქტორების მიერ. როდესაც ქვეყანაში სასწავლო პროგრამები აღწევს მაღალ დონეს, ხდება ამ მასალების შეწორება და დახვეწა. პასუხისმგებლობის გადაცემის საბოლოო ეტაპზე სისტემის მიმღებ ქვეყანას მიეწოდება კურსის მასალების უახლესი ვერსიები რედაქტირებად ფორმატში. კურსის მასალებში შედის ტრენინგების გეგმები, სახელმძღვანელოები, სავარჯიშოები, ტესტები, პრეზენტაციები, შეფასებისა და უკუკავშირის ფორმები და კურსის დასრულების სერთიფიკატები. ყველა სასწავლო მასალის შესახებ დეტალები მოცემულია „დზეის-ის და პსკს-ს კავშირ ტრენინგის გეგმაში“.

ტექნიკური საშუალებები სწავლებისთვის

დზეის-ის ტრენინგების ჩასატარებლად აუცილებელია, რომ დზეის-ის მომხმარებელი ორგანიზაციებში გამოყოფილი იყოს სწავლებისთვის საჭირო ტექნიკური საშუალებები და სასწავლო ოთახი. დზეის-ის მიმღები ქვეყნის გადასაწყვეტია, როგორ ჩატარდეს სწავლება, რეგიონების მიხედვით თუ ცენტრალურ ოფისებში.

კომპიუტერზე დაფუძნებული ტრენინგი (CBT)

კომპიუტერზე დაფუძნებული ტრენინგი შემუშავებულია დზეის-ის ყოველი ვერსიისთვის. კომპიუტერზე დაფუძნებული ტრენინგი წარმატებით ტარდება ახალი ვერსიის სწავლების

სანაცვლოდ. თითოეული კომპიუტერზე დაფუძნებული ტრენინგი ხელმისაწვდომია DVD/CD ფორმატში, რომლის კვლავ წარმოება მარტივად არის შესაძლებელი. პასუხისმგებლობის გადაცემის საბოლოო ეტაპზე სისტემის მიმღებ ქვეყანას გადაეცემა დზეის-ის კომპიუტერზე დაფუძნებული ტრენინგის უახლესი ვერსია ან შესაძლებელი იქნება მისი ჩამოტვირთვა დზეის-ის „ღია პროგრამული კოდის უზრუნველყოფის„ პორტალიდან. სისტემის მიმღები ქვეყნის ხელმძღვანელობის გადასაწყვეტია, თუ როგორ გამოიყენებს კომპიუტერზე დაფუძნებულ სწავლებას.

საბაზისო კომპიუტერული ტრენინგი

საბაზისო კომპიუტერული ტრენინგი განკუთვნილია იმ საბოლოო მომხმარებლებისთვის, ვინც არ იცის კომპიუტერის, მონიტორის, კლავიატურის, მაუსის, ოპერაციულ სისტემების, MS Word-ის, MS Excel-ის და ა.შ. მოხმარება. ბევრ საბაზისო კომპიუტერულ ტრენინგს არ ატარებს, არამედ ხელშეკრულების საფუძველზე ქირაობს ადგილობრივ პროვაიდერებს ასეთი ტრენინგების ჩასატარებლად. საბაზისო კომპიუტერული ტრენინგი ხანგრძლივი და ძვირი წამოწყებაა. სისტემის მთელი ქვეყნის მასშტაბით დანერგვის შემდეგ, მოსალოდნელია, რომ ახალ მომხმარებლებს ექნებათ საბაზისო კომპიუტერული ცოდნა ან შეძლებენ საკუთარი შესაძლებლობებით დაეუფლონ მას. საბაზისო კომპიუტერული ტრენინგის ოფიციალურად ჩატარების აუცილებლობის შემთხვევაში, სისტემის მიმღები ქვეყანა თვითონ შეარჩევს ადგილობრივ ქვეკონტრაქტორს ამ მომსახურების მისაღებად.

ტექნიკური მხარდაჭერის ტრენინგი

დზეის-ის მხარდაჭერა ხორციელდება „ტექნიკური მხარდაჭერის სამსახურის“ ფუნქციის გამოყენებით, რომელიც პირველად დაინერგა ბევრ-ის მოსკოვის და ქვეყანაში არსებული ოფისის მიერ. „ტექნიკური მხარდაჭერის სამსახურის“ საფუძველია მდგრადი უფასო პროგრამული უზრუნველყოფა. სისტემის დანერგვის პროცესის დროს, მიმღები ქვეყანა არჩევს პერსონალს ქვეყანაში სისტემის მხარდაჭერისთვის, რომლებსაც ჩაუტარდება ტრენინგი იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ გახსნან მოთხოვნები, განახორციელონ სტატუსის მონიტორინგი და გადაჭრან პრობლემები. სისტემის მიმღები ქვეყანა თვითონ განსაზღვრავს, თუ რამდენი სპეციალისტია საჭირო, როდის ჩატარდება ტრენინგი, როგორ განხორციელდება „ტექნიკური მხარდაჭერის სამსახურისთვის“ ამოცანების გადაცემა და კადრების შემადგენლობის როტაციის საკითხების გადაჭრა. „ტექნიკური მხარდაჭერის სამსახურის“ სწავლება დეტალურად არის აღწერილი „დზეის-ის და პსკს-ს კავშირ ტრენინგის გეგმაში“.

იტ სპეციალისტების სწავლება

სისტემის მიმღები ქვეყნის IT სპეციალისტების სწავლება აუცილებელია საბოლოო მომხმარებლებისთვის სისტემის ყოველდღიური მხარდაჭერისთვის და ყველა გამოსაყენებელი კომპიუტერული პროგრამისთვის ადმინისტრაციული ფუნქციების შესასრულებლად, ასევე მონაცემთა ბაზის სათანადო ტექნოლოგიებისთვის, სარეზერვო ასლების შექმნისა და აღდგენისთვის, Microsoft-ის განახლებების გამოყენებისთვის და სხვა

ნებისმიერი დაკავშირებული ოპერაციებისთვის, რომლებიც აღნიშნულია კომპიუტერული პროგრამების საპროექტო დოკუმენტაციაში, კომპიუტერული ქსელის, საკომუნიკაციო ქსელის, კომპიუტერის აპარატურული უზრუნველყოფისა და ოპერაციული სისტემების მხარდაჭერისთვის. თავიდან ბევრ მოამზადებს სისტემის მიმღები ქვეყნის სპეციალისტებს აღნიშნული ამოცანების შესასრულებლად, ხოლო შემდეგ ამ სწავლების პროგრამას გადააბარებს სისტემის მიმღებ ქვეყანას. IT სპეციალისტების სწავლება დეტალურად არის აღწერილი „დზეის-ის და პსკს-ს კაბიტ ტრენინგის გეგმაში“.

პროგრამული უზრუნველყოფის მოდიფიცირება „ღია პროგრამული კოდის უზრუნველყოფის“ საშუალებით მოითხოვს გარკვეულ უნარ-ჩვევებსა და მომზადებას. აუცილებელი უნარ-ჩვევები და რეკომენდებული სწავლება სცილდება მოცემული დოკუმენტის ფარგლებს.

6. პასუხისმგებლობის გადაცემის დაგეგმვის პროცესი

პასუხისმგებლობის გადაცემის დაგეგმვის პროცესი ითვალისწინებს შემდეგ მნიშვნელოვან ეტაპებს:

1. „პასუხისმგებლობის გადაცემისა და უზრუნველყოფის გეგმის“ საბოლოო ვარიანტის შემუშავება
2. საქართველოს სახელმწიფოს მიერ ქვეყნის სპეციფიური გეგმის განხილვა, რედაქტირება და დამტკიცება
3. ქვეყნის სპეციფიური გეგმის განხორციელება საქართველოში

მომდევნო აბზაცებში აღწერილია ზემოთ ნახსენები პროცესის ბოლო ორი ეტაპი.

ქვეყნის სპეციფიური გეგმის მომზადებისთანავე იგი უნდა წარედგინოს იმ შესაბამის სამინისტროებსა თუ სამთავრობო უწყებებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ქვეყანაში დზეის-ის დანერგვაზე. სამინისტროები წარმოადგენენ შენიშვნებს აღნიშნულ გეგმასთან დაკავშირებით. გეგმის განხილვის დროს სამინისტროებს შეუძლიათ გამართონ შეხვედრები და მოიწვიონ DTRA-ს წარმომადგენლები და პროექტში სხვა მონაწილე მხარეები შემოთავაზებულ გეგმასთან დაკავშირებული საკითხების გასარკვევად. მას შემდეგ, რაც შევა სისტემის მიმღები ქვეყნის სამთავრობო სტრუქტურების მიერ გაკეთებული შენიშვნები, ქვეყნის სპეციფიური გეგმას ხელს მოაწერს ქვეყანაში არსებული თსშო-ს (DTRO) ხელმძღვანელი და პროექტის მენეჯერები პროექტში მონაწილე თითოეული სამინისტროს მხრიდან.

ქვეყნის სპეციფიური ხელმოწერილი გეგმის განხორციელება მოიცავს რამდენიმე ეტაპს ქვეყნის სპეციფიური პასუხისმგებლობის გადაცემის მატრიცის შესაბამისად. მოცემული ეტაპები შესაძლებელია გაერთიანდეს 4 ძირითად ნაწილად:

1. ადმინისტრირება და დოკუმენტაცია
2. სწავლება (ტრენინგი)
3. IT ინფრასტრუქტურის ტექნოლოგიური და მხარდაჭერა

4. დზეის-ის პროგრამული უზრუნველყოფის ტექმომსახურება და მხარდაჭერა

თითოეული პუნქტის შესრულების ვადები, ფუნქციები და პასუხისმგებლობის სფეროები აღწერილია ქვეყნის სპეციფიური გეგმის ნაწილში.

პასუხისმგებლობის გადაცემისა და უზრუნველყოფის გეგმა შემუშავებულია ორ დედნად, ინგლისურ და ქართულ ენაზე, სადაც დოკუმენტების ყველა ტექსტი თანაბრად აუთენტურია.

ამერიკის შეერთებული შტატების
მთავრობის სახელით

საქართველოს მთავრობის სახელით

ამერიკის შეერთებული შტატების
ელჩი საქართველოში

საქართველოს პრემიერ მინისტრი

დანართი ა – საქართველოს სპეციფიური გეგმა (GG)

ა.1. ზოგადი ინფორმაცია

დაავადებათა ზედამხედველობის ელექტრონული ინტეგრირებული სისტემა (დზეის) საქართველოში პირველად დაინერგა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის 1997 წლის 17 ივლისს დადებული „მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების თავიდან აცილების სფეროში თანამშრომლობისა და თავდაცვითი და სამხედრო კავშირების გაღრმავების შესახებ“ ხელშეკრულების თანახმად, რომლის ვადაც გაგრძელდა 2002 წლის 17 მაისს, მოხდა ცვლილებების შეტანა და კვლავ გაგრძელდა 2009 წლის 13 ოქტომბერს (აშშ-საქართველოს შორის საფრთხის შემცირების შესახებ ჩარჩო შეთანხმება – საქართველო) და ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის დეპარტამენტსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის 2002 წლის 30 დეკემბერს დადებული „ბიოლოგიური იარაღის განვითარებასთან დაკავშირებული ტექნოლოგიების, პათოგენებისა და ინფორმაციის გავრცელების თავიდან აცილების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმების თანახმად, რომელშიც ცვლილებები შევიდა 2004 წლის 23 მარტს, 2004 წლის 30 აგვისტოს, 2005 წლის 3 ნოემბერს, 2006 წლის 23 ივნისს, 2007 წლის 6 მარტს, 2008 წლის 5 მარტს, 2009 წლის 13 აგვისტოს და 2011 წლის 17 აგვისტოს („ბიოლოგიური საფრთხის შემცირების აღმასრულებელი შეთანხმება - საქართველო“) ფარგლებში.

დაავადებათა ზედამხედველობის ელექტრონული ინტეგრირებული სისტემის (დზეის) მიზანია ინფექციური დაავადებების შემთხვევების/აფეთქებების მონაცემთა შეგროვების, გადაცემის, დამუშავებისა და ანალიზის პროცესის სრულყოფა და ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის გაუმჯობესება. სისტემა კლინიკურ, ეპიდემიოლოგიურ/ეპიზოოტურ და ლაბორატორიულ ინფორმაციას აერთიანებს ინტეგრირებულ მონაცემთა ბაზაში და იძლევა შეგროვებული მონაცემების ანალიზის ჩატარების შესაძლებლობას, რის შედეგადაც გადაწყვეტილების მიღება ხდება უფრო მცირე დროში და ნაკლები რესურსების გამოყენებით. დზეის-ის მიზანია, გააძლიეროს და უზრუნველყოს ადამიანის და ცხოველთა დაავადებების მონიტორინგი და პრევენცია „ერთიანი ჯანმრთელობის“ კონცეფციის ფარგლებში და იგი სამინისტროებს აძლევს ინფორმაციის ერთმანეთისთვის გაზიარების საშუალებას.

დზეის-ი წარმოადგენს განაწილებულ მონაცემთა ბაზას სამუშაო სადგურებით, სადაც სისტემა დაინსტალირებულია შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დადასტურებული ჩამონათვალის მიხედვით. ამასთან, დზეის-ი არის ვებ-პლატფორმაზე მომუშავე მონაცემთა ბაზა, რომელიც სინქრონიზირებულია განაწილებული მონაცემთა ბაზის ქსელთან. პირველადი მონაცემების შეყვანა ხდება ინფექციური დაავადებების შემთხვევების, მათ შორის შეტყობინებას დაქვემდებარებული დაავადებების დაფიქსირებისას – რაიონის და ქალაქის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრებში, სურსათის ეროვნული სააგენტოს ოფისებსა და

რეგიონულ ლაბორატორიებში. ყველა შეყვანილი ინფორმაცია მიეწოდება დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის, სურსათის ეროვნული სააგენტოს და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის ცენტრალურ ოფისებს მისი შემდგომი დამუშავების, ანალიზის და უსაფრთხოდ შენახვის მიზნით. ობიექტებს შორის მონაცემთა გადაცემა ხორციელდება თითქმის რეალურ დროში.

დზეის-ის გამოყენებით ასევე ხდება ინფექციური დაავადებების შესახებ შერჩეული მონაცემების ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის საინფორმაციო სისტემაში გაგზავნა 2005 წ-ის „ჯანმრთელობის საერთაშორისო რეგულაციების“ მოთხოვნების თანახმად.

დზეის-ი ამჟამად ფუნქციონირებს შემდეგ სამუშაო ობიექტებზე:

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 90 ობიექტზე:

- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (შჯსდს)
- დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი (დკსჯეც), მათ შორის, 10 რეგიონული ლაბორატორია
- 72 მუნიციპალური საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი (სჯც)
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტრო
- 6 დგარ-ის რეაგირების სატრანსპორტო საშუალების ლეპტოპი

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს 97 ობიექტზე:

- სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია, მათ შორის 3 ზონალურ დიაგნოსტიკური ლაბორატორია (თბილისსა, ქუთაისსა და ახალციხეში)
- სურსათის ეროვნულ სააგენტო, მათ შორის 12 რეგიონული განყოფილება, 64 რაიონული განყოფილება და 1 მობილური ჯგუფის განყოფილება
- 8 რეგიონული ლაბორატორიის საველე სადგური
- 9 დგარ-ის რეაგირების სატრანსპორტო საშუალების ლეპტოპი

დზეის-ის ქსელი ასევე მოიცავს დზეის-ის მონაცემთა ცენტრალურ საცავს (მცს) და დზეის-ის ვებ-სერვერებს, რომლებიც ფიზიკურად საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროშია განთავსებული, მაგრამ შჯსდს-ს და სმს-ს ობიექტები ერთობლივად სარგებლობენ.

ა.2. გადაცემის პროცესის მიდგომა/ხედვა

გადცემის პროცესის მიდგომა გულისხმობს აშშ-ს თსშს-ს და ბ&ვ მხრიდან ინტერნეტის, სახარჯი მასალების, შეკეთების, ლიცენზიის განახლების (მაგ.: ანტივირუსის პროგრამები), ტექნიკური მომსახურების და ქვეყნის ფარგლებში ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფაზე 0%-დან 100%-მდე დაფინანსების პასუხისმგებლობის საქართველოს

მხარისათვის თანდათანობით გადაცემას. გადაბარების პროცესის ვადები და გეგმა მოცემულია „დზეის-ის გადაცემის ვადებისა და გეგმის“ ნაწილში.

აშშ-ს თსშს დზეის-ის საწყისი კოდი და კომპილირებული პროგრამა საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდა პორტალის საშუალებით 2014 წ-ის იანვარში. ამ პორტალის მეშვეობით მოსალოდნელია სისტემის მდგრადობის გაუმჯობესება. აგრეთვე, მომხმარებლის კომფორტისთვის პორტალზე ხელმისაწვდომი იქნება საცნობარო სახელმძღვანელოები და შერჩეული სასწავლო მასალა. ამასთან, დზეის-ის პროგრამის მდგრადობას გააკონტროლებს აშშ-ს თსშს, რისთვისაც გამოიყენებს „ღია პროგრამული კოდის უზრუნველყოფის“ (ე.წ. open source) მეთოდს შესაბამისი ლიცენზიის მქონე თავისუფალი წვდომის საზოგადოების მშვეობით. ეს მიდგომა უზრუნველყოფს დზეის-ის პროგრამის გამჭვირვალობას და საქართველოს მხარეს მისცემს დზეის-ის პორტალზე ხელმისაწვდომი პროდუქტების გამოყენების შესაძლებლობას.

ა.3. დზეის-ის მდგრადობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული რეკომენდაციები

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შორის თანამშრომლობა

რეკომენდებულია, რომ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ჩამოაყალიბონ ერთობლივი სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შევლენ ყოველი სააგენტოს წარმომადგენლები და რომელიც შეიკრიბება თანამშრომლობისა და დზეის-ის ერთობლივი გამოყენების საკითხების განსახილველად. „ერთიანი ჯანმრთელობის“ კონცეფციის განვითარებასთან, ასევე ზოონოზური დაავადებების მონაცემების და ქვეყანაში არსებული სიტუაციის ერთობლივ ანალიზთან ერთად, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროებს შორის დზეის-ის საკითხებზე თანამშრომლობა სამინისტროებს შესაძლებლობას მისცემს თანხვედრაში მოიყვანონ თავიანთი პოლიტიკა მონაცემთა გაზიარებასთან და შეტყობინებასთან დაკავშირებით, გააუმჯობესონ დზეის-ის პრაქტიკული გამოყენება მოსალოდნელი შედეგების და ჩატარებული სამუშაოების კოორდინაციის გზით.

აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ დზეის-ი იძლევა სამინისტროებს შორის შეტყობინებების და ინფორმაციის ურთიერთგაცვლის (მიმღები ქვეყნის კანონმდებლობის პირად ინფორმაციაზე წვდომის შეზღუდვის თანახმად) და საერთო ანალიზის ჩატარების საშუალებას, რომელთა გამოყენებიდან მაქსიმალური სარგებელი მიიღწევა სისტემის შესაბამისი მოდულების კორექტული გამოყენებით.

რეკომენდირებულია რომ ერთობლივმა სამუშაო ჯგუფმა იმუშაოს სამინისტროებს შორის ინფორმაციის მიმოცვლის გაუმჯობესების მიმართულებით, განსაკუთრებით ზოონოზურ და ინტერესის სფეროში შემავალ სხვა დაავადებებთან მიმართებაში, და საერთო ანალიზისთვის

დზეის-ის გამოყენებით მაგ.: შჯსდს-ს ობიექტებმა ვეტერინარული მოდულის გამოყენების გზით შეიძლება საერგებელი მიიღონ ვეტ დაავადებების შემთხვევებზე ინფორმაციის სახით, რომლებიც დარეგისტრირდა ქვეყანაში, მათ სტატუსსა და ლოკაციაზე, ასევე, როგორც სმს-ს ობიექტებმა ჯანდაცვის მოდულის გამოყენებით - ადამიანის დაავადების შემთხვევებზე ინფორმაციის სახით, რომლებიც დარეგისტრირდა ქვეყანაში, მათ ლოკაციაზე და სტატუსზე. თავის მხრივ ეს შჯსდს-ს და სმს-ს ობიექტებს მისცემს საშუალებას უფრო სწორედ გამოიყენონ ეპიდაფეთქებების მოდული ზოონოზური დაავადებების აფეთქებების მიდევნებისთვის. გაერთიანებული ანალიზის გაუმჯობესება მისაწვდომია ავა მოდულის მოთხოვნების/სქემების გამოყენების საფუძველზე.

იტ მხარდაჭერა

რეკომენდებულია, რომ შჯსდს-მ და სმს-მ გამოიყენონ არსებული IT განყოფილებების შესაძლებლობები დზეის-ის ინფრასტრუქტურის მხარდაჭერისა და ტექნომსახურების განსახორციელებლად. არსებული IT განყოფილებების წარმომადგენლებს გავლილი აქვთ ტრენინგები და გააჩნიათ დზეის-თან მუშაობის/მართვის/ადმინისტრირების გამოცდილება.

ჯანმოსთან/ სურსათის საერთაშორისო ორგანიზაციასთან/ცხოველთა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციასთან თანამშრომლობა

რეკომენდებულია, რომ შჯსდს-მ და სმს-მ იმუშაონ დზეის-სა და ჯანმოს/სურსათის საერთაშორისო ორგანიზაციის/ცხოველთა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ელექტრონული ანგარიშგების სისტემებს შორის მონაცემთა კავშირის დამყარების მიმართულებით. საერთაშორისო ორგანიზაციებთან მონაცემთა ელექტრონული გაცვლის მოდულები უზრუნველყოფენ სწრაფ და მომხმარებლის მიერ ავტორიზებულ ანგარიშგებას, რაც გაზრდის ანგარიშგების შესაძლებლობებს და ხელს შეუწყობს დზეის-ში შეყვანილი მონაცემების ხარისხის გაუმჯობესებას.

დზეის-ის ვებ-ვერსიის გამოყენებაზე გადასვლა

შჯსდს-მ, სმს-მ და ბლაქ ენდ ვიჩ-მა მიზნად ისახვეს დზეის-ის ვებ რესურსზე თანმიმდევრულ გადასვლას. გადასვლის პირველმა ეტაპმა მოიცვა პირველადი ინფორმაციის შემყვანი ყველა ობიექტი (ობიექტი ერთი სამუშაო სადგურით) და დასრულდა 2015 წლის დეკემბერში. რეკომენდირებულია, რომ შჯსდს-მ და სმს-მ გააგრძელონ დზეის-ის ვებ რესურსზე იმ ობიექტების გადაყვანაც, რომელზეც არის ბევრი სამუშაო სადგური (ე.წ. ზდლ-ები და ლსს-ები), განსაკუთრებით რომლებიც მდებარეობენ რეგიონებში ტექნიკური მხარდაჭერის/უზრუნველყოფის ხარჯების შემცირების მისაღწევად.

ჯანმრთელობის დაცვის ერთიან საინფორმაციო სისტემასთან (HMIS) ინტეგრაცია

რეკომენდირებულია, რომ დკსჯეც-მა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობით გააგრძელოს ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის სხვადასხვა მოდულებთან მონაცემთა ელექტრონული კავშირის განხორციელება. ამის საშუალებით შესაძლებელი გახდება დზეის-ის ინტეგრირება შრომის,

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ყოვლისმომცველ ელექტრონულ ქსელში და უზრუნველყოფს მონაცემთა სწრაფ და გაუმჯობესებულ გადაცემას სამედიცინო დაწესებულების დონიდან საზოგადოებრივი ჯანდაცვის დონემდე.

მდგრადობის უზრუნველყოფის ხარჯების შეფასება

დაგეგმილი სამუშაოს მოცულობის ტექნიკური უზრუნველყოფისთვის ყოველწლიურად საჭირო იქნება:

- 1) წლიური საკომუნიკაციო ხარჯი (ინტერნეტი და ტექნიკური მხარდაჭერის სამსახურის ტელეფონები):
 - ინტერნეტი შჯსდს-ს ობიექტებისთვის - \$51,540.
 - ა. შჯსდს (მათ შორის, ვებ-სერვერები): $742 * 12 \text{ თვე} = \$8,904$
 - ბ. დესჯეც და მისი რეგიონული ფილიალები (10 ობიექტი): $2,720 * 12 \text{ თვე} = \$32,640$
 - გ. დგარ-ის რეაგირების სატრანსპორტო საშუალების ლეპტოპები (6 ობიექტი): $78 * 12 \text{ თვე} = \$936$
 - დ. მუნიციპალური სჯც-ები (50 ობიექტი; დანარჩენი 22 მუნიციპალური სჯც უკვე ფარავს ინტერნეტის მომსახურების საფასურს თავისი სახსრებით) $755 * 12 \text{ თვე} = \$9,060$
 - ინტერნეტი სმს-ს ობიექტებისთვის - \$29,820
 - ა. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის ზდღ-ები (3 ობიექტი): $747 * 12 \text{ თვე} = \$8,964$
 - ბ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის ზდღ-ების დგარ-ის რეაგირების სატრანსპორტო საშუალების ლეპტოპები (4 ობიექტი): $52 * 12 \text{ თვე} = \$624$
 - გ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის ლსს-ები (8 ობიექტი): $621 * 12 \text{ თვე} = \$7,452$
 - დ. სურსათის ეროვნული სააგენტოს რეგიონული/რაიონული ოფისები, დგარ-ის რეაგირების სატრანსპორტო საშუალების ლეპტოპები (82 ობიექტი): $1,065 * 12 \text{ თვე} = \$12,780$
 - ტექნიკური მხარდაჭერის სამსახურის ტელეფონები შჯსდს-სთვის (4 ტელეფონი): $42 * 12 \text{ თვე} = \$504$
- აღნიშნული ხარჯი ეფუძნება საქართველოში ამჟამად მოქმედ ტარიფებს. ამ ხარჯის განმსაზღვრელი ფაქტორებია სამუშაო ობიექტებზე გამოყენებული არხების რაოდენობა, ასევე პროვაიდერების მიერ დაწესებული მომსახურებით სარგებლობის ტარიფები. მომსახურებით სარგებლობის ტარიფების შემცირების ტენდენცია აღინიშნება დროთა განმავლობაში. არანაირი სანდო ინფორმაცია არ არსებობს მომავალ ტარიფებთან დაკავშირებით.
- 2) არსებული სამუშაო ობიექტებისთვის ანტივირუსის პროგრამაზე ლიცენზიის, დზეის-ის ვებსაიტის დომენის, SSL-სერტიფიკატის, მონიტორინგის ინსტრუმენტების და DNS-ჰოსტინგის ყოველწლიური განახლება - \$9,913

- ანტივირუსის ლიცენზია შჯსდს ობიექტებისთვის - \$3,075; (97 ანტივირუსის ლიცენზია შეძენილი დესჯეც-ის რეგიონული ფილიალებისთვის და შჯსდს-ისთვის)
- ანტივირუსის ლიცენზია სმს-ს ობიექტებისთვის – \$985 (31 ანტივირუსის ლიცენზია შეძენილი სერვერის აპარატურის მქონე სმსლ-ის და სეს-ის რეგიონული ფილიალებისთვის (28 სმსლ-ის - \$890 და 3 სეს-ისთვის - \$95))
- დზეის-ის ვებ- საიტის დომენი \$15 (შჯსდს-ს და სმს-ს ყველა ობიექტისთვის)
- SSL სერტიფიკატები - \$200 (შჯსდს-ს და სმს-ს ყველა ობიექტისთვის)
- მონიტორინგის ინსტრუმენტები - \$5,580 (შჯსდს-ს და სმს-ს ყველა ობიექტისთვის)
- DNS-ჰოსტინგი - \$58 (შჯსდს-ს და სმს-ს ყველა ობიექტისთვის)

ხარჯი შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს მომწოდებლების საფასო პოლიტიკიდან გამომდინარე.

3) სახარჯი მასალები არსებული სამუშაო ობიექტებისთვის (კარტრიჯები, ქაღალდი და სხვა):

- შჯსდს-ს ობიექტებისთვის - \$11,850
- სმს-ს ობიექტებისთვის – \$15,850

მოცემული თანხები აღებულია დღევანდელი დღისთვის არსებულ ფაქტიურ დანახარჯებზე დაყრდნობით. რეალური ხარჯი დაითვლება ბეჭდვის მოცულობის საფუძველზე.

4) ტექნიკური მომსახურების და მხარდაჭერისთვის შრომის დანახარჯები.

საქართველოში დზეის-ის მხარდაჭერისთვის საჭირო იქნება დაახლოებით 2-3 სრულ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომელი შჯსდს-ს ობიექტებისთვის და დაახლოებით 2-3 სრულ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომელი სმს-ს ობიექტებისთვის ან მოწვეული კონტრაქტორი დზეის-ის ტექნიკურ მომსახურებაზე და მხარდაჭერაზე სრული პასუხისმგებლობით.

შენიშვნა: აშშ- დოლარის საქართველოს ლართან მიმართებაში გამოყენებული კურსი შეადგენს 2,39 ლარი = 1 აშშ დოლარს; ყველა ზემოთაღნიშნული ხარჯი მოცემულია 18% დღგ-ს ჩათვლით.

დამატებითი ხარჯი იქნება გასაწევი, თუ შჯსდს/სმს გადაწყვეტს დზეის-ის ახალი აპარატურით განახლებას (არჩევითია). ჩვეულებრივ, განახლების ციკლი 5 წელია, მაგრამ ეს დამოკიდებული იქნება შჯსდს/სმს-ის არჩევანზე, საჭიროდ თუ ჩათვლის განახლებას და როდის. ისტორიულად, მსგავსი კომპიუტერული სიმძლავრის მქონე ახალი აპარატურის ხარჯი მცირდება და სხვადასხვა მწარმოებლის პროდუქციის ფასებიც განსხვავებულია. აპარატურის განახლებისთვის რეკომენდებულია მცოცავი მეთოდის გამოყენება, ანუ აპარატურის შეცვლისთვის საჭირო ბიუჯეტი გადანაწილდეს სისტემის ხანგრძლივი მუშაობის მთელ პერიოდზე. განახლებული აპარატურის ტექნომსახურების ხარჯი შემცირდება საგარანტიო მომსახურების ხარჯზე. ხარჯის განმსაზღვრელი ფაქტორებია

ფაქტიურად შეძენილი აპარატურა, მწარმოებლები, ინფრასტრუქტურა, გარემო პირობების ხარისხი და ფაქტიური გამოყენება.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია დზეის-ის ინფრასტრუქტურის და ინტერნეტ არხების სრული მიახლოებითი ფასები 2012 წლის (სისტემის სრული ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების წელი) ისტორიული მონაცემების და 2015 წლის მონაცემების შედარება.

იმის მიუხედავად, რომ დროთა განმავლობაში აპარატურის საფასური არ განიცდის მნიშვნელოვან ცვლილებებს, უნდა აღინიშნოს, რომ შეიძლება იცვლებოდეს ცალკეული კომპონენტების ფასი, მაგ.: შტრიხ-კოდ პრინტერის 1 ერთეულის ფასი 2010 წელს წარმოადგენდა \$670, ხოლო 2014 წელს დაიკლო \$430-მდე. აგრეთვე გასათვალისწინებელია ფასწარმოქმნის ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ადგილობრივ ბაზარზე აპარატურის მისაწვდომობა და მწარმოებლების მიერ განხორციელებული ცვლილებები აპარატურაში, მაგ.: სტანდარტული სტაციონარულ სამუშაო სადგურებს (ცალკეული კომპონენტებით) ნელ ნელა ენაცვლება ე.წ. მონობლოკები, რომელთა საფასური, როგორც წესი, ნაკლებია.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია სმს-ს ინტერნეტ არხების ისტორიული ფასის ზრდა, რომელიც განაპირობა სმს-ს ობიექტებზე ინტერნეტ არხების ხარისხის (ტექნოლოგია, სიჩქარე) მუდმივმა გაუმჯობესებამ. რეკომენდირებულია რომ მიმღებმა ქვეყანამ გაითვალისწინოს ის ფაქტი, რომ ინტერნეტ არხების ხარისხის გაუმჯობესება დაკავშირებულია მისი საფასურის მატებასთან; თუ ინტერნეტ არხების დაგეგმილი გაუმჯობესება დაკავშირებულია პროვაიდერის შეცვლასთან, ახალი არხების გაყვანის ფასი ჩვეულებრივად მაღალია, ხოლო ადმინისტრაციული საკითხები (დაყენება/გაყვანაზე ლიცენზიის მიღება) წარმოშობს ხანგრძლივ მოლაპარაკებებს. ამის მიუხედავად, მიმღებმა ქვეყანამ მაინც უნდა რეგულარულად (მინიმუმ წელიწადში ერთხელ) ჩაატაროს ინტერნეტ ბაზრის ანალიზი, განსაკუთრებით იმ პროვაიდერების მომსახურეობის საფასურის, რომლებთანაც უკვე აქვთ დადებული ხელშეკრულებები (არ საჭიროებს ახალი არხების გაყვანას), რადგან, გაწევადი მომსახურეობის საფასური, როგორც წესი, კლებულობს, და აგრეთვე შეიძლება გაჩნდეს მომსახურეობის ახალი შემოთავაზებები უფრო დაბალ ფასად. უნდა აღინიშნოს, რომ აშშ დილარის და ლარის გაცვლითი კურსის ცვლილება დიდ გავლენას ახდენს ფასწარმოქმნაზე და ამ ცვლილებამ შეიძლება განაპირობოს ინტერნეტ მომსახურეობის ფასების ცვლა.

ცხრილი ა.1. აპარატურული უზრუნველყოფის და ინტერნეტ არხების ისტორიული და მიმდინარე ფასები

	2012	2015
შჯსდს-ს აპარატურული უზრუნველყოფა	\$535,500	\$555,000
შჯსდს-ს ინტერნეტ არხები	\$56,471	\$51,540
სმს-ს აპარატურული უზრუნველყოფა	\$425,000	\$410,000
სმს-ს ინტერნეტ არხები	\$23,556	\$29,820

შენიშვნა: ყველა ზემოთაღნიშნული ხარჯი მოცემულია 18% დღგ-ს ჩათვლით

ა.4. გადაცემის ვადები და გეგმა

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში დეტალურად არის ჩამოთვლილი ის ქმედებები, რომლებიც უნდა განხორციელდეს დზეის-ის საქართველოს მთავრობისთვის გადაცემისთვის.

ცხრილი ა .2. დზეის-ის გადაცემისთვის საჭირო ქმედებების ჩამონათვალი

ამოცანა		ქმედების აღწერილობა	დასრულების დაგეგმილი თარიღი და სტატუსი		
			შეჯდს	სმს	სტატუსი
ადმინისტრირება და დოკუმენტაცია					
1.1	პროექტის მენეჯერი	საქართველოს მთავრობის უწყებებმა უნდა დანიშნონ დზეის-ის განხორციელებისა და მხარდაჭერის პროექტის მენეჯერი	აპრილი 2016	აპრილი 2016	არ დაწყებულა
1.2	სამუშაო ჯგუფი	საქართველოს მთავრობის უწყებებმა უნდა ჩამოაყალიბონ სამუშაო ჯგუფ(ებ)ი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება დზეის-ის განხორციელებასა და მხარდაჭერასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებაზე, გადაცემის პერიოდამდე და შემდეგ	მაისი 2010	მაისი 2010	დასრულებულია
1.3	დზეის-ის გზამკვლევები, ინსტრუქციები	ქვეყანაში არსებულმა სამუშაო ჯგუფ(ებ)მა და ბლექ ენდ ვიჩმა უნდა მოამზადონ დოკუმენტი, რომელშიც აღწერილი იქნება, თუ როგორი იქნება დზეის-ის გამოყენება ქვეყანაში	მაისი 2016	მაისი 2016	მიმდინარეობს
1.4	დზეის-ისთვის ოფიციალური სტატუსის მინიჭების ბრძანება	რეკომენდებულია, რომ საქართველოს მთავრობამ გამოსცეს ბრძანება იმის შესახებ, რომ დზეის-ს მიენიჭოს დაავადებათა ზედამხედველობის სახელმწიფო სისტემის ოფიციალური სტატუსი	მაისი 2012	აპრილი 2016	დასრულებულია შეჯდს-თვის; მიმდინარეობს სმს-სთვის
ტრენინგი					
2.1	ტრენინგის მენეჯერ(ებ)ის დანიშვნა	საქართველოს მთავრობის უწყებების მიერ დანიშნული პროექტის მენეჯერები დანიშნავენ პირს, რომელიც პასუხისმგებელი იქნება დზეის-ის ტრენინგების ადმინისტრირებაზე	აპრილი 2016	აპრილი 2016	არ დაწყებულა
2.2	ტრენინგის მასალების მოწოდება	ბლექ ენდ ვიჩმა უნდა მიაწოდოს ტრენინგისთვის საჭირო მასალების -	აპრილი 2016	აპრილი 2016	მიმდინარეობს

ამოცანა		ქმედების აღწერილობა	დასრულების დაგეგმილი თარიღი და სტატუსი		
			შეესრულა	სმს	სტატუსი
		მომხმარებლის სახელმძღვანელოს, ტრენინგის პრეზენტაციის, სავარჯიშოების, გაკვეთილის მოკლე აღწერილობის, ტრენინგის დასრულების სერთიფიკატის ელექტრონული ვერსიები. აგრეთვე ვიდეო გაკვეთილების კურსის ე.წ. „კომპიუტერზე დაფუძნებული ტრენინგი“-ს (CBT) მასალები დზეის-ის შემდგომი ვერსიებისთვის ინგლისურ და ქართულ ენებზე და ინსტრუქციები თუ როგორ ითარგმნოს „კომპიუტერზე დაფუძნებული ტრენინგი“ (CBT) ადგილობრივ ენაზე. საქართველოს მთავრობა, საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელი იქნება „კომპიუტერზე დაფუძნებული ტრენინგის“ ადგილობრივ ენაზე მომზადებაზე. რეკომენდირებულია, რომ საქართველოს მთავრობის უწყებებმა ტრენინგების ჩატარების პროცესის გასაადვილებლად იმუშაონ დისტანციური სწავლებისთვის საჭირო ინსტრუმენტების/გარემოს დანერგვის და ცოდნის განსაახლებელი ტრენინგებისთვის ბაზის შექმნის მიმართულებით (ვარიანტები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება ინტრანეტს, ელექტრონული სწავლების ინსტრუმენტებს და სხვა).			
2.3	ტრენინგების მიდევნების ონლაინ სისტემაზე დაშვების უზრუნველყოფა	ბლექ ენდ ვიჩი ქვეყანაში არსებული პროექტის მენეჯერ(ებ)ის და ტრენინგის მენეჯერ(ებ)ის მიერ გამოყოფილი პერსონალისთვის უზრუნველყოფს ტრენინგების მიდევნების ონლაინ სისტემაზე დაშვებას. თითოეული სააგენტო	აპრილი 2016	აპრილი 2016	არ დაწყებულია

ამოცანა		ქმედების აღწერილობა	დასრულების დაგეგმილი თარიღი და სტატუსი		
			შეესრულა	სმს	სტატუსი
		თავად მიიღებს გადაწყვეტილებას ამ სისტემის გამოყენების შესახებ			
2.4	მომხმარებლის ტესტირების ონლაინ სისტემაზე დაშვების უზრუნველყოფა	ბლექ ენდ ვიჩი ქვეყანაში არსებული პროექტის მენეჯერ(ებ)ის და ტრენინგის მენეჯერ(ებ)ის მიერ გამოყოფილი პერსონალისთვის უზრუნველყოფს მომხმარებლის ტესტირების ონლაინ სისტემაზე დაშვებას	აპრილი 2016	აპრილი 2016	არ დაწყებულია
2.5	ქვეყანაში არსებული ინსტრუქტორების შერჩევა	საქართველოს მთავრობის უწყებები სამინისტროს პერსონალიდან შერჩეულ თანამშრომლებს დანიშნავენ ინსტრუქტორებად	მარტი 2015	მარტი 2014	დასრულებულია
2.6	ინსტრუქტორების მომზადება და სერთიფიცირება	აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტის საფრთხის შემცირების სააგენტომ უნდა მოამზადოს და სერთიფიცირება ჩაუტაროს დანიშნულ ინსტრუქტორებს	აპრილი 2015	აგვისტო – ოქტომბერი 2014	დასრულებულია
2.7	დზეის-თან დაკავშირებული ტრენინგების ჩატარება	საქართველოს მთავრობის უწყებები აიღებენ პასუხისმგებლობას დზეის-თან დაკავშირებული ტრენინგების ჩატარებაზე	ივლისი 2016	ივლისი 2016	მიმდინარეობს
2.8	იტ ტრენინგი	აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტის საფრთხის შემცირების სააგენტო უზრუნველყოფს ერთჯერადი იტ ტრენინგის ჩატარებას საქართველოს მთავრობის უწყებების მიერ დანიშნული იტ სპეციალისტებისთვის. ტრენინგი მიმართული იქნება საქართველოს მთავრობის უწყებების მიერ დანიშნული იტ სპეციალისტების ცოდნაში ნებისმიერი პოტენციური ხარვეზების აღმოფხვრაზე და ისეთი უნარ-ჩვევების შეძენაზე რომელსაც მოითხოვს საქართველოს მხრიდან დზეის-ის მუშაობის მდგრადობის უზრუნველყოფა. საქართველოს მთავრობის უწყებებმა უნდა დაამთავრონ ტრენინგების მონაწილეთა სიის მომზადება	მაისი 2016	მაისი 2016	არ დაწყებულია

ამოცანა		ქმედების აღწერილობა	დასრულების დაგეგმილი თარიღი და სტატუსი		
			შეჯდს	სმს	სტატუსი
		ტრენინგამდე არაუგვიანეს 1 თვის ვადაში. საქართველოს მთავრობის უწყებებმა უნდა იმუშაონ ტრენინგის შემდეგ, შესაბამისი უწყებების მომზადებული კადრების თანამშრომლებად შესანარჩუნებლად. ტრენინგ კურსების ჩამონათვალი და მოსალოდნელი მსმენელების რაოდენობა მოყვანილია მოცემული დოკუმენტის გ დანართში, ხოლო იტ სპეციალისტების რეკომენდირებული უნარ-ჩვევები მოყვანილია მოცემული დოკუმენტის მე-6 ცხრილში.			
იტ ინფრასტრუქტურის ტექნოლოგიების განვითარება და მხარდაჭერა					
3.1	ტექნოლოგიების და მხარდაჭერის გეგმა	აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტის საფრთხის შემცირების სააგენტო საქართველოს მთავრობის უწყებებს გაუზიარებს „ტექნოლოგიების და მხარდაჭერის გეგმას“ და პროცედურებს	მაისი 2016	მაისი 2016	არ დაწყებულია
3.2	ტექნიკური დოკუმენტაცია (ობიექტზე არსებული აღჭურვილობის/დაყენებული პარამეტრების აღწერილობა)	ბლექ ენდ ვიჩი საქართველოს მთავრობის უწყებებს გადასცემს ქვეყანაში არსებული დზეის-ის თითოეული ობიექტის უახლეს „ტექნიკურ აღწერილობა-დოკუმენტაციას (არსებული აღჭურვილობის/დაყენებული პარამეტრების აღწერილობა)“, თუ ასეთი დოკუმენტაცია იყო შედგენილი ობიექტისთვის	მაისი 2016	მაისი 2016	არ დაწყებულია
3.3	საკუთრებაში გადაცემა	აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტის საფრთხის შემცირების სააგენტო და ბლექ ენდ ვიჩი საქართველოს მთავრობისთვის განახორციელებს „ქონების გადაცემის“ პროცედურებს ყველა იმ აპარატურაზე, რომელიც გათვალისწინებული იყო დზეის-ის დანერგვის პროექტში „ბიოლოგიური ჩართულობის ერთობლივი პროგრამის“ ფარგლებში	ივლისი 2016	ივლისი 2016	არ დაწყებულია

ამოცანა		ქმედების აღწერილობა	დასრულების დაგეგმილი თარიღი და სტატუსი		
			შეესრულა	სმს	სტატუსი
3.4	დაყენების ინსტრუქციები	ბლექ ენდ ვიჩი საქართველოს მთავრობის უწყებებს მიაწვდის „დზეის-ის დაყენების ინსტრუქციებს“, რომლებშიც აღწერილია დზეის-ის სამუშაო ობიექტებზე პროგრამის დაყენების პროცედურები, რომელთა შესაბამისი ტრენინგი ჩატარდება საქართველოს მხრიდან იტ სპეციალისტებს	მაისი 2016	მაისი 2016	არ დაწყებულია
3.5	სახარჯი მასალებით უზრუნველყოფა	საქართველოს მთავრობის უწყებები პასუხისმგებელნი იქნებიან დზეის-ის სათანადო ფუნქციონირებისთვის საჭირო ქაღალდის, შტრიხკოდების ეტიკეტების, კარტრიჯების და სხვა სახარჯი მასალებით უზრუნველყოფაზე	ივლისი 2016	ივლისი 2016	არ დაწყებულია
3.6	აპარატურის ტექნომსახურება	საქართველოს მთავრობის უწყებები პასუხისმგებელნი იქნებიან სათანადო ნაწილების შეძენასა და შეცვლაზე, დაზიანებული აპარატურის შეკეთებაზე	ივლისი 2016	ივლისი 2016	არ დაწყებულია
3.7	საკომუნიკაციო არხები	საქართველოს მთავრობის უწყებები პასუხისმგებელნი იქნებიან დზეის-ის ყველა სამუშაო ობიექტისთვის საკომუნიკაციო არხების (ინტერნეტის) უზრუნველყოფაზე	ივლისი 2016	ივლისი 2016	არ დაწყებულია
3.8	აპარატურის განახლება	საქართველოს მთავრობის უწყებები პასუხისმგებელნი იქნებიან მოძველებული აპარატურის ნაცვლად ახლის შეძენასა და დანერგვაზე. აპარატურის განახლების სიხშირე დამოკიდებულია საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებაზე	ივლისი 2016	ივლისი 2016	არ დაწყებულია
3.9	დზეის-ის ახალი სამუშაო ობიექტების დამატება	საქართველოს მთავრობის უწყებები დზეის-ის ახალი სამუშაო ობიექტებისთვის შეიძენენ და დანერგავენ აპარატურას, საჭიროებისამებრ	ივლისი 2016	ივლისი 2016	არ დაწყებულია
3.10	„გაყიდვაში არსებული პროგრამული პროდუქტის“ ლიცენზიების	საქართველოს მთავრობის უწყებები პასუხისმგებელნი იქნებიან „გაყიდვაში არსებული პროგრამული პროდუქტის“ მოძველებული ლიცენზიების განახლებაზე. ახალი	ივლისი 2016	ივლისი 2016	არ დაწყებულია

ამოცანა		ქმედების აღწერილობა	დასრულების დაგეგმილი თარიღი და სტატუსი		
			შეჯდს	სმს	სტატუსი
	განახლება	ლიცენზიები შეიძლება საჭირო იყოს მაშინაც, როდესაც დზეის-ის უფრო ახალი ვერსია მოითხოვს „გაყიდვაში არსებული პროგრამული პროდუქტის“ ახალ ვერსიას. ჩამონათვალი მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება: SQL Server, ანტივირუსი, MS Office, ოპერაციული სისტემა და სხვა პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტი, საჭიროებისდა მიხედვით			
დზეის-ის პროგრამული უზრუნველყოფის ტექნოლოგიების მხარდაჭერა და მხარდაჭერა					
4.1	ტექნიკური მხარდაჭერის ონლაინ სისტემაზე წვდომის უზრუნველყოფა	ბლექ ენდ ვიჩი საქართველოს მთავრობის უწყებებისთვის უზრუნველყოფს ტექნიკური მხარდაჭერის ონლაინ სისტემასთან წვდომას	მაისი 2016	მაისი 2016	მიმდინარეობს
4.2	დისტანციური კავშირის TeamViewer სისტემაზე წვდომის უზრუნველყოფა	ბლექ ენდ ვიჩი საქართველოს მთავრობის უწყებებისთვის უზრუნველყოფს დისტანციური კავშირის TeamViewer სისტემაზე წვდომას. საქართველოს მთავრობის უწყებები პასუხისმგებელნი იქნებიან ლიცენზიების განახლებაზე, თუ მათი მხრიდან გადაწყდება სისტემის გამოყენება	მაისი 2016	მაისი 2016	მიმდინარეობს
4.3	ტექნიკური მხარდაჭერის სამსახურის სპეციალისტების მომზადება და სერტიფიცირება	ბლექ ენდ ვიჩი მოამზადებს და სერტიფიცირებს ჩაუტარებს საქართველოს მთავრობის უწყებების მიერ დანიშნულ ტექნიკური მხარდაჭერის სამსახურის სპეციალისტებს	მარტი 2011	მაისი 2016	დასრულებულია შეჯდს-თვის; მიმდინარეობს სმს-სთვის
4.4	დამხმარე პერსონალისთვის ტექნიკური მხარდაჭერის სამსახურის/ტექნიკური დახმარების ტელეფონების გადაცემა	ტექნიკური მხარდაჭერის სამსახურის სპეციალისტებისთვის მობილური ტელეფონების გადაცემა და მათი გამართული მუშაობის უზრუნველყოფა მომხმარებლებთან კომუნიკაციისთვის	აპრილი 2016	აპრილი 2016 (სეს)	მიმდინარეობს
4.5	მომხმარებლის მუდმივ რეჟიმში მხარდაჭერა	მომხმარებელს ნებისმიერ საკითხზე მუდმივ რეჟიმში დახმარებას გაუწევენ საქართველოში არსებული	მაისი 2016	მაისი 2016	მიმდინარეობს

ამოცანა		ქმედების აღწერილობა	დასრულების დაგეგმილი თარიღი და სტატუსი		
			შეესრულა	სმს	სტატუსი
		ტექნიკური მხარდაჭერის სამსახურის სერტიფიცირებული სპეციალისტები			
4.6	დზეის-ის პროგრამული კოდის ტექნომსახურება	აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტის საფრთხის შემცირების სააგენტო იმუშავებს 2016 წ-ის აპრილიდან 2021 წ-მდე დზეის-ის პროგრამული კოდის ტექნომსახურების სტრატეგიის შემუშავებაზე და ამის შესახებ შეატყობინებს საქართველოს მთავრობას	იანვარი 2021	იანვარი 2021	მიმდინარეობს

ა.5. სერტიფიკაციისა და აკრედიტაციის განახლება

საქართველოს მთავრობას ქვეყნისთვის დამახასიათებელი არანაირი სერტიფიცირება ან აკრედიტაცია არ მოუთხოვია. რეკომდირებულია, რომ საქართველოს მთავრობის უწყებებმა თვალყური ადევნონ სერტიფიკაცია/აკრედიტაციის პროცესთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ცვლილებებს, რომ სრულად დააკმაყოფილონ ნებისმიერი მომავალი პოტენციური ცვლილება.

დანართი ბ - დზეის-ის საქართველოსთვის სპეციფიური კრიტიკული მნიშვნელობის აპარატურის ჩამონათვალი

ცხრილი ბ .1. კრიტიკული მნიშვნელობის აპარატურის ჩამონათვალი

1. მონაცემთა ცენტრალური საცავი (მცს) (1 ობიექტი)	მოწყობილობის მოდელი
1.1 სერვერები	
1.1.1 მცს სერვერი	HP ProLiant DL 380p G8
1.1.2 აქტივ დირექტორის მთავარი სერვერი	HP ProLiant DL 120 R07
1.1.3 აქტივ დირექტორის სარეზერვო სერვერი	HP ProLiant DL 120 R07
1.1.4 მონიტორინგ სერვერი	HP ProLiant DL 320 G6
1.2 ქსელური მოწყობილობა	
1.2.3 სვიჩი	HP ProCurve 2610-48
2. ვებ უზრუნველყოფა (1 ობიექტი)	
2.1 სერვერები	
2.1.1 ვებ სერვერ ჰოსტი #1	HP ProLiant DL 380 G7
2.1.2 ვებ სერვერ ჰოსტი #2	HP ProLiant DL 380 G7
2.2 ქსელური მოწყობილობა	
2.2.1 მთავარი ფაერვოლი	Cisco ASA 5525-X
2.2.2 სარეზერვო ფაერვოლი	Cisco ASA 5525-X
2.2.3 სასაზღვრო მთავარი როუტერი	Cisco 2911
2.2.4 სასაზღვრო სარეზერვო როუტერი	Cisco 2911
2.2.5 სვიჩი. მთავარი	Cisco Catalyst 3560
2.2.4 სვიჩი. სარეზერვო	Cisco Catalyst 3560
3. მეორე დონის ობიექტები (14 ობიექტი)	
3.1 სერვერი	
3.1.1 მეორე დონის ობიექტის სერვერი	HP ProLiant DL 380 G6/G7
3.2 ქსელური მოწყობილობა	
3.2.1 სასაზღვრო როუტერი	Cisco 2811/Cisco 2911
3.2.2 სვიჩი #1	HP ProCurve 2610-24/HP ProCurve 2610-48/HP ProCurve 2620-24
3.3 კვების დაცვა	
3.3.1 უწყვეტი კვების წყარო	APC Smart-UPS XL Modular 1500VA 230V Rackmount/Tower

დანართი გ – იტ ტრენინგების გეგმა საქართველოში

#	კურსის დასახელება	მსმენელების უწყებები და რაოდენობა
1	CompTIA Security+ or/and CompTIA Server+;	შჯსდს – 1 მსმენელი დკსჯეც – 4 მსმენელი სმს – 1 მსმენელი სმსლ – 1 ან 2 მსმენელი სეს – 2 მსმენელი
2	Installing, Configuring, Troubleshooting and Supporting Microsoft Windows 7 client (Associate level);	
3	Planning and Managing Windows 7 Desktop Deployments and Environments (Associate level);	
4	Installing and Configuring Microsoft Windows Server 2008 (2012) (Associate level);	
5	Administering Microsoft Windows Server 2008 (2012) (Associate level);	
6	Configuring Advanced Windows Server 2008 (2012) Services (Associate level);	
7	Administering Microsoft SQL Server 2008 (2012) Database (Associate level);	
8	Implementing a Data Warehouse with Microsoft SQL Server 2008 (2012) (Associate level);	
9	Server Virtualization with Windows Server Hyper-V and System Center;	
10	Interconnecting Cisco Networking Device Part 1 (Entry level).	
11	Administering the Web Server (IIS) Role of Windows Server	